140
1953/3

оджанишвили Б

Шетод кабин.



# პიონერი

6
ივნისი
1953



ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 6

ივნისი, 1953 წ.

წელიწადი XXVII

ირაკლი აბაშიძე

# ორი ბავშვობა

შენი ბავშვობა არის სიამე,
არის სიმღერა და სიხარული;
ტკბილმშობლიური, ალერსიანი
თავს დაგტრიალებს შენი მამული.

შენი ბავშვობა არის სიამე,
სევდის გაქრობა, ცრემლის დაშრობა,
სწავლა, მზადება ხალისიანი,—
აი, რა არის შენი ბავშვობა.

მაგრამ აქვეა ქვეყნის საზღვარი:
აგერ თურქეთი, აგერ ირანი,
ჩვილი ბავშვების დიდი ლაშქარი,
მუდამ მშიერი, მუდამ მტირალი.

აგერ, აქვეა უცხო, სხვა მხარე,
ტანჯვის, მონობის ქვეყნიერება;
იქეთ გოდება და სიმწუხარე,
აქეთ შრომა და ბედნიერება.

მუდამ გახსოვდეს: შურისძიებამ
იქ რომ მონობას ჯერ ვერ აჯობა,
და უფრო მეტად, უფრო ძლიერად
შეგიყვარდება შენი ბავშვობა.

6604

მარქსის სახ. სახ. ... ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვები ჩვენი ბედნიერებაა

ნინო ჯავახიშვილი

საბჭოთა ბავშვებისათვის, სტალინური მზრუნველობით აღზრდილთათვის, პირველი ივნისი სასიხარულო, სადღესასწაულო დღეა.

ნაყოფიერად გატარებული სასწავლო წლის შემდეგ ისინი ემზადებიან დაისვენონ ბუნების წიაღში, ჩვენი უსაზღვრო სამშობლოს საუკეთესო კურორტებზე. რამდენ რამეს ახალს, საინტერესოსა და სასიხარულოს ჰპირდება ბავშვებს საზაფხულო დასვენება: გართობა-თამაშობანი, სპორტული შეჯიბრებანი, წარმტაცი ექსკურსიები!

საბჭოთა ქვეყანა ბავშვებს, ახალგაზრდა თაობას, ზრდის ძლიერსა და მამაცს, პატიოსანსა და განათლებულს, ზრდის ყველა ხალხისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

წლითი-წლობით მატულობს ჩვენი ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლებისათვის გაწეული ხარჯები.

ყველაფერი, რაც დიდ საბჭოთა კავშირში იქმნება, ხმარდება ადამიანის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მის მატერიალურ და ინტელექტუალურ საჭიროებას. ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის სამი მეოთხედი მშრომელთა პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იხარჯება, დანარჩენი ნაწილი კი სოციალისტური წარმოების გაფართოებას და სხვა საერთო სახელმწიფოებრივ საქმეს ხმარდება.

ჩვენთან ყოველწლიურად უმჯობესდება ბავშვთა ცხოვრებისა და განვითარების პირობები. პატარა წერილში ძნელია დავახასიათოთ ის დიდი მზრუნველობა, რითაც მოსავს ბავშვებს საბჭოთა სახელმწიფო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

სახელმწიფო ეხმარება მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს, უზრუნველყოფს ბავშვთა უფასო დაწყებით და არასრულ საშუალო განათლებას, სტიპენდიას აძლევს უმაღლესი სკოლის მოსწავლეებს. 1940 წელს ამ მიზნით 40,8 მილიარდი მანეთი დაიხარჯა, 1951 წელს კი—125 მილიარდი. 1951 წელს მარტო უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი 67 პროცენტით გაიზარდა 1940 წელთან შედარებით.

ჩვენთან ერთად და ჩვენი ქვეყნის მაგალითისამებრ მშრომელთა ბედნიერებისათვის, თავიანთი ნორჩი თაობის მომავლისათვის განუხრელად იბრძვიან დიდი სახალხო ჩინეთი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები — პოლონეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ალბანეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

და რა მძიმე, გულსაკლავ კონტრასტს, თანადროულ პროგრესთან შედარებით როგორ ანაქრონიზმს წარმოადგენს უმძიმესი ექსპლოატაცია, უბრალო ადამიანებს რომ უწევენ იმ ქვეყნებში, სადაც ბატონობს იმპერიალიზმი, კოლონიური ჩაგვრა, რასობრივი დისკრიმინაცია.

შემაძრწუნებელია იმის გაფიქრებაც კი, რომ ინდოეთში ყოველწლიურად შიმშილით იხოცება 10 მილიონამდე ადამიანი, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრების ცუდი პირობების გამო ახალდაბადებულთა ნახევარი ვერ აღწევს სიმწიფის ასაკს, რომ ექვსი წლის ბავშვები მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ნახევრადმშივრები მუშაობენ პლანტაციებში.

„მთელი აფრიკა შიმშილის კონტინენტშია“,— ვკითხულობთ ჟოჟუე დე კასტროს წიგნში „შიმშილის გეოგრაფია“. ამ ფრაზას რაღა განმარტება უნდა?!

1952 წლის დამლევს ვენაში, ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე შევხვდი ალჟირელ ექიმს. ამ ექიმმა, ეროვნებით ფრანგმა, ალჟირში გაატარა ოცდაათი წელი.

— ალჟირში ცხოვრებისა და მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში,—თქვა მან,—მე არ მინახავს არც ერთი სავსებით ჯანსაღი ქალი ადგილობრივ მოსახლეობაში. ჩემს პაციენტებს ან ჭლექი აწამებთ, ან ტრაქომით აქვთ ქუთუთოები გადმობრუნებული, ან რახიტით დამახინჯებიათ სხეული, ან კიდევ რაიმე სხვა მძიმე სენი სჭირთ მუდმივი შიმშილისა და აუტანელი შრომისაგან. როგორი ბავშვი შეიძლება დაბადოს და გაზარდოს დედამ ასეთ მდგომარეობაში? გასაკვირი არაა, რომ 9—10 ახალდაბადებული ბავშვიდან სიმწიფის ასაკს აღწევს მხოლოდ ერთი ან ორი.

მეცნიერების მუშაკთა თათბირზე იმავე კონგრესის დელეგატმა, ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა, პროფესორმა კროუტერმა მთხოვა ჩემი აზრი გამომეთქვა ეგრეთწოდებული მალთუსის თეორიის შესახებ, რომელიც კაპიტალისტური სისტემის ყველა სისაძაგლეს, მშრომელი მასების ექსპლოატაციას და გაღატაკებას მოსახლეობის ჭარბი ზრდით ხსნის. ამ ცრუ თეორიას, რომელიც მხოლოდ ექსპლოატატორთათვის არის სასარგებლო, მე დავუპირისპირე ჩვენი საბჭოთა ცხოვრების სინამდვილე. მართლაც რა შემეძლო მეთქვა




მშვიდობისათვის! მხატვარი ფ. რეშეტნიკოვი

ლამაზი სიტყვებით იმაზე უკეთესი, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოსახლეობა საბჭოთა კავშირში გაიზარდა 9,5 მილიონით, ხოლო კვების პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების ფასი ჩვენთან სისტემატურად, ყოველწლიურად მცირდება, საბჭოთა ადამიანების ცხოვრება უფრო შეძლებული და უკეთესი ხდება; ჩვენს ქვეყანაში ყველა ბავშვი სწავლობს; ჩვენში უმუშევრობა და კრიზისი არ არსებობს.

და განა შეიძლებოდა სიტყვებით გადმოცემა ჩვენი ქვეყნის ყველა მიღწევის შესახებ, განა შეიძლებოდა მთელი სისრულით დამეხატა ჩვენი ბავშვების ბედნიერი აწმყო და კიდევ უფრო გაცისკროვნებული მომავალი!

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ძლიერ ვაფასებთ მშვიდობიან ცხოვრებას, ჩვენს შემოქმედებით შრომას, ჩვენი ბავშვების სიმშვიდესა და მომავალს, და არავის მივცემთ ნებას დაარღვიოს ეს ჩვენი უდიდესი ბედნიერება.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებთან ერთად, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, მოვიპოვებთ მშვიდობას მთელ მსოფლიოში ჩვენი ბავშვების საკეთილდღეოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საზღვარგარეთის ზნე-ჩვეულება

# პატარა კეტის ბედი

ჩვენს წინაშეა ამერიკულ ქურნალ «ტაიმსის» მიმდინარე წლის 18 მაისის ნომერი. მის მე-17 გვერდზე ფოტოსურათია: წყალსატევის ნაპირზე დგანან ნახევრადტიტველი, დატანჯული ბიჭუნა და გოგონა. სხეული დამახინჯებული აქვთ არანორმალური განვითარებით: თავები ვიწრო და წაგრძელებული აქვთ, ბეჭები კი უზომოდ განიერი, ნეკნები მკვეთრად მოუჩანთ... მთელი გარეგნობით მოხუცებს მოგვაგონებენ. ორივე ერთად 11,5 წლისაა. ესენი არიან ჯ. რასელი, მეტსახელად ბუბა, და მისი უმცროსი და კეტი. იქვე დგას მათი მამა ტონგეი რასელი.

ვინ არიან ესენი? რატომ მიაქცია მათ ყურადღება ამერიკულმა ქურნალმა?

ამ ფოტოსურათს იქით იფარება ერთ-ერთი ტრაგედია იმ მრავალი ტრაგედიიდან, რომლებიც განუყრელი ნაწილია ყბადაღებული «ამერიკული ცხოვრებისა», სადაც გამდიდრების წადილს დაუჩრდილავს ყველაფერი, ადამიანებში ჩაუკლავს უწმინდესი გრძნობები.

ბევრი ფულის შოვნის წადილით გატაცებულმა ტ. რასელმა თავისი მცირეწლოვანი ბავშვები გამდიდრების წყაროდ გადააქცია. სენსაციებს დახარბებულ, ბურჟუაზიული პრესით, რადიოთი და კინემატოგრაფიით გარყვნილ ამერიკელ ობივატელებს არაჩვეულებრივი სანახაობანი უყვართ. და აი, როცა რასელი მამა გახდა, მას საშინელი იდეა დაებადა: რა მოხდება, რომ ძუძუთა ბავშვი... მცურავი გახადო?.. რა სენსაცია იქნება!..

რასელმა თავისი აზრი კიდევაც შეასრულა. თავის პირველ ვაჟს — ძუძუთა ბავშვს დაუწყო წვრთნა, რომ ცურვა ესწავლებინა. დიდხანს ასხამდა ხოლმე სახეზე წყალს, რომ მას „წყალში სუნთქვა», ესწავლა, წყლით სავსე აბაზანაში აგდებდა. თვრამეტი თვის ბიჭუნა სისხლის ჩაქცევისაგან გარდაიცვალა. დედამ განაცხადა, მამა ბავშვს სცემდაო.

მაგრამ შვილის სიკვდილს მამის სინდისის ქენჯნა როდი გამოუწვევია, როცა დაიბადა ბუბა, ხოლო წელიწადნახევრის შემდეგ კეტი, მამამ გადაწყვიტა გაემეორებინა ცდა.

ულმობელი წვრთნით მან ძუძუთა ბავშვებს ცურვა ასწავლა ბევრად უფრო ადრე, სანამ ფეხს აიდგამდნენ. იგი ანგარიშს არ უწევდა ბავშვების ჯანმრთელობასა და ნორმალურ განვითარებას და მიაღწია იმას, რომ ათი თვისა როცა იყვნენ, მათ უკვე შეეძლოთ წყალქვეშ გაეცურათ 20 ფუტი (დაახლოებით 6 მეტრი) მანძილი, როცა ორი წლისაც არ იყვნენ, ტონგეი ყოველდღე აიძულებდა მათ გაეცურათ ხუთი მილი (დაახლოებით 8 კილომეტრი).

დადგა წვრთნის შემდგომი ეტაპი. მამა ბავშვებს კოშკურიდან აგდებდა წყალში, პაწია ბუბა ხელფეხშეკრული უნდა გადამხტარიყო 33 ფუტის (10 მეტრის) სიმაღლიდან და ორჯერ გაეცურა აუზი წყალქვეშ. პატარა კეტის «ვარჯიშის» პროგრამა ასეთი იყო: მას ყოველდღე უნდა გაეცურა შვიდი მილი და ოცფუტიანი კოშკურიდან წყალში გადამხტარიყო ხოლმე თვალებახვეული. ბავშვები დამქანცავ ვარჯიშს ასრულებდნენ ხმელეთზე, შემდეგ კი მათი წამება გრძელდებოდა წყალში. ხოლო ამ საცოდავებს რომ «ცურვა გაადვილებოდათ», მამა მათ აშიმშილებდა.

ყოველივე ამას ერთვოდა უმაგალითო უხეშობა და სისტემატური ცემა. ბავშვებს სხეული მუდამ დალურჯებული, სისხლნაქცევებითა და დანაკაწრებით ჰქონდათ დაფარული. განსაკუთრებით ცუდ დღეში იყო პატარა კეტი, რომელიც ხშირად ვერ იკავებდა ბავშვურ ცრემლებს უცხოებთან. ამის გამო იგი განსაკუთრებით სასტიკად ისჯებოდა.

ბოლოს, არაადამიანური წვრთნის შედეგად ბავშვებს შეეძლოთ 20 მილზე მეტი გაეცურათ. მაშინ ტონგეიმ გადაწყვიტა, რომ დადგა «ბიზნესის კეთების» დრო. ულმობელი მენტორიდან იგი ხარბ ანტრეპრენიორად გადაიქცა. იგი იწყებს... «ამფიბია» ბავშვების საჩვენებელ გამოსვლებს.

სარეკლამო ფორმულას გასავალი ჰქონდა. გაზეთები გამოეხმაურნენ რეკლამას და ბუბა და კეტი გახადეს იმ სახელგანთქმულ პირებად ერთი საათით, რომლებიც ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა მალე გაქრნენ და ადგილი ახლებს დაუთმონ. ტონგეი და მისი შვილები დიდი სიხარულით მიიღეს ჰოლივუდში. ბავშვებს კინოსათვის იღებდნენ — პაწია ბუბა და კეტი ეკრანზე განთქმულ მცურავ ესთერ ვილიამსის გვერდით გამოჩნდებოდნენ ხოლმე.

შემოსავლის ზრდასთან ერთად ტონგეის მადაც ემატებოდა. გამდიდრების წყურვილით გატაცებულმა, მან წამოიწყო ტურნე საზღვარგარეთ. 1951 წლის ზაფხულში ბავშვები ინგლისში წაიყვანა; სენსაციის მოხდენის მიზნით მან გამოაცხადა, რომ მისი მცირეწლოვანი შვილები გადასცურავენ ლა-მანშის სრუტეს, რომელიც ინგლისს საფრანგეთისაგან ჰყოფს. მაგრამ იმედი გაუცრუვდა, აქ მისი მერკანტილური ანგარიში არ გამართლდა. მაშინ იგი საფრანგეთში გაემგზავრა იმავე განზრახვით: ბლომად შეეგროვებინა ფული და მოეწყო «წარმოდგენა» სრუტის ფრანგული ნაპირიდან. მაგრამ მისი განზრახვა აქაც მარცხით დამთავრდა. გაცოფებული ტონგეი «ფულის გასაკეთებლად» შეერთებულ შტატებში დაბრუნდა. იგი გაორკეცებული სისასტიკით შეუდგა ბავშვების წვრთნას. ერთხელ მან 5 წლის კეტი აიძულა გადამხტარიყო წყალში 11 მეტრის სიმაღლიდან და თან ჰაერში რთული ვარჯიში გაეკეთებინა. მაგრამ ბავშვს ვარჯიში არ გამოუვიდა და იგი მუცლით დაეცა წყალზე. კეტის მთელ სხეულში დაეწყო ძლიერი ტკივილები, იგი ტიროდა და უჩიოდა იმას, რომ ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. მალე პირისღებინება დაეწყო, მაგრამ მამამ აიძულა წყალში ჩასულიყო და ვარჯიში განეგრძო. საღამოს კეტის მდგომარეობა გაუარესდა და მალე იგი, ისევე როგორც მისი პირველი ძმა გარდაიცვალა იმით, რომ ბევრგან ჰქონდა სისხლი ჩაქცეული.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ყოველივე ამის გაკეთება შეეძლო არა თუ მამას, არამედ უბრალოდ ადამიანს. თუმცა განა შეიძლება მას ადამიანი ეწოდოს? გამდიდრების წყურვილმა მას დაუკარგა ყოველივე ადამიანური. ეს ადამიანის მსგავსი არსება გადააქცია მტაცებლად, რომელიც ფულის გულისათვის, გამდიდრების გულისათვის მზად არის ყველაფერი გააკეთოს.

ვ. გრიგოროვიჩი

„პრავდა“

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარიკა ჯაფარიძე

ნახ. გ. თოთიბაძისა

# ახალი მასწავლებელი

ისტორიის მასწავლებელი ავად გახდა. იგი უკვე ხანდაზმული იყო და როგორც, ამბობდნენ, ველარ შეიძლებდა სკოლაში სიარულს. მის ნაცვლად ახალი მასწავლებელი დანიშნეს. ისტორიის პირველი გაკვეთილი მერვე კლასს ჰქონდა. მოუთმენლად ელოდნენ მოწაფეები ენახათ ის, ვინც ძველ, საყვარელ მასწავლებელს შეცვლიდა.

საკლასო ოთახის კარი დირექტორმა და ახალგაზრდა კაცმა შეაღო. დირექტორმა ბავშვებს ახალი მასწავლებელი გააცნო და კლასიდან გავიდა. ლამაზი გარეგნობის მასწავლებელი მაგიდასთან მივიდა, მოწაფეებს მიესალმა და საკლასო ჟურნალი გაშალა. ოცდაათი ბავშვის ცნობისმოყვარე თვალები შესჩერებოდა მას. კმაყოფილებას გამოხატავდა მათი სახეები, ერთი შეხედვითვე მოეწონათ მასწავლებლის გარეგნობაც და თავდაჭერაც. მოწაფეები უხმოდ ელოდნენ რას იტყოდა ახალი მასწავლებელი.

— ყმაწვილებო, დღეიდან მე უნდა გასწავლოთ ისტორია. ვფიქრობ, თქვენ ეს საგანი გიყვართ და ხალისითაც სწავლობთ, — თქვა მასწავლებელმა. იგი გვარების ამოკითხვას შეუდგა, კითხულობდა გვარებს და თითოეულ მოსწავლეს წამით თვალს ავლებდა.

ერთბაშად კარი გაიღო და საკლასო ოთახში ხმაურით შემოვიდნენ ბექანი და სერგო. უხერხულად შეჩერდნენ, შემდეგ ალმაცერად გადახედეს მასწავლებელს და უდარდელი სახით მერხისაკენ გაეშურნენ. მასწავლებელმა სიის ამოკითხვას თავი ანება, ბექანს დააცქერდა, ერთხანს უყურა და შემდეგ შეეკითხა:

— თქვენი გვარი?

— ქვარიანი, ბექან ქვარიანი.

— ქვარიანი... კეთილი... შემდეგში გაკვეთილზე შემოხვალთ დროზე... გაფრთხილებთ! — თქვა მასწავლებელმა დამაჯერებლად, ისევ დაკვირვებით შეათვალიერა ბექანი და ამოკითხვა განაგრძო.

— ჰმ, დროზეო! — ჩაიხითხითა ბექანმა და სერგოს მუჯლუგუნი გაკრა.

— არაფერია, ახალია! შევაჩვევთ! — სიცილით უპასუხა სერგომ.

— ბიჭებო, წყნარად! — მიუბრუნდა წინა მერხიდან ვახტანგი. — ახალ მასწავლებელთან მაინც იქონიეთ მორიდება.

— ჩუმად იყავი! — შეუბღვირა ბექანმა. — გამოჩნდა ახალი ჭკუისდამრიგებელი. ვითომ რაო, ახალ მასწავლებელს გინდა მოაწონო თავი?

მასწავლებელი ისევ შეჩერდა და მოსაუბრეებს უსიტყვოდ მიაჩერდა. ბიჭები გაჩუმდნენ. მასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი განვლილი მასალის გამოკითხვას შეუდგა. როცა ახალი გაკვეთილის ახსნა დაიწყო, სულგანაბული კლასი კეთილგანწყობით შეჰყურებდა მასწავლებელს.

„ერთი ამათ დახედეთ! როგორ თვალდაჭყეტილი შეჩერებია ყველა! — გაიფიქრა ბექანმა, როდესაც აქეთ-იქით გაიხედა და მიხვდა, სამუსაიფოდ არავინ გამოყვებოდა, — ან რას ყვება ასეთს, ეს ბიჭები რომ თვალმოუცილებლად მისჩერებიან?!“

— რა პირი დაგიღია! — მიუბრუნდა უკანა მერხზე მჯდომ სოსოს ბექანი. სოსომ გაკვირვებით შეხედა ბექანს და მოუთმენლად მზერა ისევ მასწავლებელზე გადაიტანა. ახლა გვერდით მჯდომ სერგოს წასჩურჩულა რაღაც. სერგომ წყრომით გადახედა ბექანს, თვალებით სთხოვა, თავი დამანებეო. „ნეტავი რა ნახეს ამ კაცში, — დააშტერდა ბექანი მასწავლებელს, — ჩვეულებრივი ადამიანია, ჩვეულებრივიც კი არა, ისეთი ახალგაზრდაა, მასწავლებელსაც არ ჰგავს. მერე რა რომ გარეგნობით კარგია! თუმცა... დახე საკვირველებას, ეს რა უცნაური ამბავი მოსდის ამ კაცს! რა სასაცილოდ უხტის ხანდახან მარცხენა ხელი და მხარი! ნუთუ ამას ვერ ამჩნევენ ბიჭები? — ფიქრობს გახარებული ბექანი და აქეთ-იქით იხედება, — ვცადო აბა ერთი, თუ შევახტუნო მეც ისე ხელი“, — და ბექანმა სცადა შეეთამაშებინა ხელი, მხარიც ააყოლა და ამ ვარჯიშში იყო გართული, რომ თავის საკუთარ გვარს მოკრა ყური, აშკარად, მასწავლებელმა ყველას გასაგონად თქვა: ქვარიანი განაგრძობს მოყოლასო.

ბექანმა ისიც კი არ იცოდა, ვინ ყვებოდა და რას ყვებოდა. „როგორ დაიმახსოვრა მასწავლებელმა ასე უცბათ ჩემი გვარი. ჩამეჯიბრება და აღარ მომცემს საშველს, ასე იციან ყოველთვის“. კიდევ უფრო გაგულისდა ბექანი. — არ შემიძლია მოყოლაო, უტიფრად უთხრა მასწავლებელს, ამხანაგებს მედიდურად გადახედა, ერთი უცნაურად შეათამაშა მხარი და დაჯდა.

ამხანაგებს არ გაკვირვებიათ მისი უხეშობა. ჩვეული იყვნენ მისგან ასეთ საქციელს. მაგრამ თითოეულმა მოწაფემ უხერხულობა იგრძნო ახალ მასწავლებელთან. მასწავლებელი დააცქერდა ბექანს და უნებურად მხარი შეუკრთა.

ერთ წუთს უსიტყვოდ უცქირა მოწაფეს და შემდეგ სხვას მიუბრუნდა...

* * *

— ბიჭებო! — ყვიროდა ბექანი დასვენებისას დერეფანში. — ნახეთ, ჩვენ მასწავლებელს რა ემართება?

— ჰა, ჰაა, ჰააა! — ატეხა სიცილი სერგომ. — როგორ, ბიჭო, როგორ? ასე ხელად როგორ შეისწავლე მისი მხარბეჭის მოძრაობა? — ჰა, ჰა, ჰააა! — იცინოდა სერგო, მაგრამ მის სიცილს სხვა არავინ გამოხმაურებია.

* * *

ისტორია მერვე კლასს მეორე დღეს მეხუთე გაკვეთილზე ქონდა. მოწაფეები, რომელთაც იმ დღეს საგულდაგულოდ მოემზადებინათ გაკვეთილი, მოუთმენლად ელოდნენ მეხუთე გაკვეთილის დაწყებას. ზარი დაირეკა თუ არა, საჩქაროდ ყველა საკლასო ოთახში შეიკრიბა. ჩვეულებრივად, ყველაზე ბოლოს ბექანი და სერგო შევიდნენ.

— ბიჭებო, ერთი ბექანს შეხედეთ... აბა, ვის მოგაგონებთ, ვინ გამოიცნობს! — ყვიროდა სერგო.

ბექანი მერხისკენ მოაბიჯებდა. მარცხენა ხელი და მხარი უხტოდა.

ამ დროს საკლასო ოთახში მასწავლებელი შევიდა. საკლასო ჟურნალი გაშალა და სიის ამოკითხვას შეუდგა. როცა ბექანის გვარი ამოიკითხა, ის სერიოზული სახით წამოდგა, მხარი ისევ შეათამაშა და კლასს გადახედა, მასწავლებელი ღიმილით მიაჩერდა ბექანს... შემდეგ, როცა გაკვეთილის გამოკითხვა დამთავრა და ახალი მასალა ახსნა, მასწავლებელმა მოწაფეებს მიმართა:

— ყმაწვილებო, როგორც ვიცი, დღეს თქვენ მეტი გაკვეთილი აღარ გაქვთ. რამდენიმე წუთი დარჩა გაკვეთილის დამთავრებამდე, მინდა გიამბოთ ერთი ამბავი, რომლის მოწმე სამამულო ომის დროს გავხდი. ბექან ქვარიანმა, რომელიც მე გუშინ პირველად ვნახე, ერთი ბიჭუნა მომაგონა. მისმა სახემ ერთი საბედისწერო დღე ცოცხლად დამიყენა თვალწინ...

ბავშვებს გაკვირვება გამოეხატათ სახეზე: ჩვენი მასწავლებელი ასე ახალგაზრდა არის და უკვე ომგადახდილიც ყოფილაო. მთელი კლასი სმენად იქცა და მასწავლებელს მიაჩერდა.

— ეს იყო უკრაინაში, 1942 წელს, — დაიწყო მასწავლებელმა, — ჩვენი ქვედანაყოფი ერთ ფრონტისპირა პატარა ქალაქში იყო დაბანაკებული და დღე-დღეზე უცდიდა ბრძანებას მოწინავე ხაზზე გასამგზავრებლად. ჩვენი ყაზარმის პირდაპირ სკოლის შენობა იდგა. ქალაქში ხშირად ცხადდებოდა საჰაერო განგაში, სექტემბრის პირველი რიცხვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. ყაზარმის ფანჯრებიდან ყოველ დილით ვხედავდი, როგორ ჩუმად, არაბავშვური სერიოზულობით მიემართებოდნენ პიონერები სკოლისაკენ.

იმ დილით, რომელიც ჩემი მეხსიერებიდან არ იშლება, სკოლა რაღაც უფრო მხიარული, გამოცოცხლებული მეჩვენა. ეს ალბათ იმის გამო იყო, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში საჰაერო განგაში არ ყოფილა ქალაქში. ჩვენი ყაზარმის მესამე სართულიდან ხელისგულივით მოჩანდა სკოლის ეზო. მე და ჩემი მეგობარი ლეიტენანტი ეზოში მოთამაშე ბიჭუნებს ვუყურებდით.

უცებ ჰაერი გააპო საყვირების შეშფოთებულმა კივილმა, რასაც მალე ფაშისტთა თვითმფრინავებისათვის დამახასიათებელი ყრუ, წყვეტილი გუგუნი მოჰყვა. ბრძანება გავეცი და წუთის შემდეგ ჩემმა მეზენიტეებმა სროლა აუტეხეს ქალაქის თავზე გამოჩენილ მტრის ესკადრილიას. სწორედ აქ მოხდა ის, რაც არასოდეს ამოიშლება ჩემი ხსოვნიდან.

ერთმა მფრინავმა, ეტყობა, შენიშნა ჩემი საზენიტო ქვემეხების ცეცხლი, თვითმფრინავი ჩვენს ყაზარმას დაუპირდაპირა და თავდაღმა დაეშვა. იგრიალა ბომბმა, ჩვენს ყაზარმას ასცდა და თავისუფლად ამოვისუნთქე... მაგრამ... უმალვე გული შემეკუმშა — სკოლის შენობა ცეცხლში იყო გახვეული.

ათიოდე წუთის შემდეგ საჰაერო თავდასხმა მოგერიებული იქნა. მაშინვე მებრძოლთა ათეულით სკოლის ეზოში შევვარდი.

სკოლის შენობა სანახევროდ ჩამონგრეულიყო, ბავშვების უმრავლესობას თავშესაფარში ჩაესწრო. რამდენიმე მსუბუქად დაჭრილი, შიშით თვალებგადმოცვივნული და გაფითრებული ბიჭუნა ტირილით თავს დასტრიალებდა ნანგრევს.

უმალ ნანგრევთან გავჩნდი და, რადგან დაბომბვის შემდეგ მოსალოდნელი იყო ავიაგამანადგურებლების გამოჩენა, ბიჭები თავშესაფარში ჩავრეკე. შემდეგ ნანგრევიდან ამოვათრიე და იქვე ფანჯრებჩამოლეწილ კლასში შევიტანე თორმეტცამეტი წლის ბიჭუნა.

შუბლი გასჩეხოდა, ქერა ქოჩორი სისხლში



ის სერიოზული სახით წამოდგა, მხარი ისევ შეათამაშა...

მოსვროდა. ჯერ კიდევ სუნთქავდა. ბავშვი ფრთხილად დავაწვინე მასწავლებლის მაგიდაზე. სუსტმა თითებმა ჩემი მარცხენა მკლავი მოსძებნა და ჩაეჭიდა. ასე ვიყავი გაყუჩებული ერთხანს. მერე სხეული მომიდუნდა, დამიმძიმდა... უცნაური სიცივე ვიგრძენი მარცხენა ხელში. სიცივე თანდათან მთელს მარცხენა მხარზე გავრცელდა, თანდათან დამიმძიმდა მარცხენა მკლავი...

იმ დღის შემდეგ დამჩემდა, ჩემო კარგებო, მარცხენა ხელისა და მხარის ტრთოლვა. ამას კონტუზია ჰქვია... ეს ჩემს უნებურად მომდის, რაც კარგად შენიშნა ბეჟანმა...

საკლასო ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა. მასწავლებელი გამოეთხოვა კლასს და გავიდა. ბავშვები ჩვეულებრივი ჟივილ-ხივილით არ გაჰყოლიან უკან. ორი-სამი მოსწავლე ბეჟანს საყვედურით მოუბრუნდა. ზოგიერთი კი აღტაცებული იყო მასწავლებლით და ამას ხმამაღლა გამოთქვამდა.

უმრავლესობა კი დუმდა და წიგნებს ჩანთაში ალაგებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯანი როდარი

# ორი ლექსი

*

ჯანი როდარი იტალიელი ახალგაზრდა პოეტია. იგი თანამედროვე დასავლეთის დემოკრატიული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ჯანი როდარის ლექსების შესახებ იტალიური გაზეთი „უნიტა“ წერს:

„ეს ლექსები მოწმობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში, იმ ნაბეჭდი საწამლავის გარდა, რასაც იტალიის ბავშვებში ავრცელებს ამერიკანიზებული და ვატიკანიზებული ლიტერატურა, არსებობს ისეთი პოეზიაც, რომელიც ნორჩ თაობაში ნერგავს შრომისადმი პატივისცემას და მუქთახორებისადმი ზიზღს“.

ჯანი როდარი დიდი პოპულარობით სარგებლობს იტალიის ნორჩ მკითხველთა შორის.

*

## როგორი სუნი აქვს სხვადასხვა ხელობას

თავისი სუნი
აქვს ყველა საქმეს:
ფურნე ცომის და
პურის სუნს აგმევს.

თუ ჩაიარე
სადურგლოს კართან,
გეცემა სუნი
ახალ ფიცართა.

აუდის სუნი
ხალათს მღებარის —
საღებავების
და სკიპიდარის.

მეშუშის სუნსაც
გაარჩევ მყისვე

მას საგოზავის
სუნი აქვს მქისე.

შოფერს ტანსაცმლით
ადვილად იცნობ,
ბენზინის მძაფრ სუნს
უმალვე იგრძნობ.

მუშის ლურჯ ხალათს,
ხალათს მაუდის,
მანქანის ზეთის
სუნი აუდის.

ექიმს სუნი აქვს
წამალის ტკბილის,
მეფუნთუშეს კი —
დახალულ თხილის.

აყალო მიწის,
ზღვის და ველის,
თან შემოჰყვება
გლეხკაცს სურნელი.

მხოლოდ, არც კარგი,
არც დასაწუნი,
უსაქმურობას
არა აქვს სუნი.

მდიდარს სუნამოს
სურნელი უდის,
მაგრამ მას მაინც
სუნი აქვს ცუდი.

## როგორი ფერი აქვს სხვადასხვა ხელობას

ყოველ საქმეს აქვს
თავისი ფერი:
საკონდიტროში
დგას კონდიტერი,
მუდამ თეთრი აქვს
მას თმა და წვერი,
წარბიც თეთრი აქვს
და საკვირველი;
ილვიძებს ადრე,
როგორც ფრინველი.

დგას ცეცხლფარეში
ღუმელთან შავი,
გამურული აქვს
სახე და თავი.

სამღებრო ფუნჯით
კიბეზე მდგარი,
ნაირფერებით
ბრწყინავს მღებარი.

მუშა, ნაცრისფერ
სპეცტანსაცმელში,
დგას ქარხანაში
ჩაქუჩით ხელში.

მუშა ზეთში და
მურშია სულ მთლად, —
მდიდრები მუდამ
დადიან სუფთად.

მდიდრებს ხელები,
თეთრი და რბილი,
ზეთში და მურში
არ აქვთ გასვრილი.

მაგრამ იცი რა?
თუმც მათი კანი
თეთრია, მაგრამ
ყველა მათგანი,

ყველა მდიდარი
და მდიდრის შვილი,
შავ-ბნელი საქმით
არის გასვრილი.

თარგმნა გრიგოლ ცეცხლაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



არკადი გაიდარი

ნახ. კ. მახარაძისა

# კვამლი ტყეში

დედაჩემი სწავლობდა და თან მუშაობდა ახალ დიდ ქარხანაში, რომლის ირგვლივ უღრანი ტყე იყო გაშლილი.

ჩვენს ეზოში, მეთექვსმეტე ბინაში, ცხოვრობდა გოგონა, რომელსაც ფენიას ეძახდნენ. მამამისი მფრინავი იყო.

ერთხელ, როდესაც ფენია ეზოში იდგა და ცას შეჰყურებდა, მას თავს დაესხა უცნობი ბიჭი და ხელიდან კანფეტი გამოჰგლიჯა.

მე ამ დროს შეშის ფარდულის სახურავზე ვიჯექი და დასავლეთისაკენ ვიყურებოდი. იქით, მდინარე კალვას გადაღმა, როგორც ამბობენ ტორფიან ქაობებზე, იწვოდა ტყე, რომელსაც გუშინწინ წაეკიდა ცეცხლი.

მაგრამ ცეცხლი მე ვერ დავინახე, გავარჩიე მხოლოდ კვამლის მოთეთრო ღრუბელი, რომლის მძაფრმა სუნმა ჩვენს დაბამდეც მოაღწია და წუხელ ღამით ხალხი არ დააძინა.

ფენიას შესაბრალისი ყვირილი რომ მომესმა, შურდულივით ჩამოვვარდი სახურავიდან და ბიჭს ზურგში ჩავაფრინდი. იგი შიშისაგან აღრიალდა, გადმოაფურთხა უკვე პირში ჩადებული კანფეტი, მკერდში იდაყვი მკრა და გაიქცა.

მე ვუთხარი ფენიას, არ ეტირა, და სასტიკად ავუკრძალე მიწაზე ნაგდები კანფეტის აღება; იმიტომ რომ, თუ ყველა დაიწყებს უკვე ვიღაცის მიერ ნაწუწნი კანფეტების ჭამას, ამას არც თუ ისე კარგი შედეგი მოჰყვება.

მაგრამ კანფეტი რომ ტყუილუბრალოდ არ დაკარგულიყო, ჩვენ ნაცრისფერი ლეკვი ბრუტიკი მოვიტყუეთ და კანფეტი ხახაში ჩავჩარეთ. პირველად ის წკმუტუნებდა, ცდილობდა გაგვსხლტომოდა — ალბათ ეგონა, რომ ქვას ან ჩილიკას ვჩრიდით, — მაგრამ როდესაც გაკვნიტა, სიხარულისაგან მთლად აკანკალდა, აცახცახდა, ფეხებზე გვეცა და დაგვიწყო თამაში.

— დედას მეორეს ვთხოვდი, — ფიქრიანად თქვა ფენიამ, —მაგრამ გაჯავრებულია და შეიძლება არ მომცეს.

— უნდა მოგცეს, — გადავწყვიტე მე, — წავიდეთ მასთან. ვუამბობ, როგორც იყო საქმე და ის ალბათ შეგიბრალებს.

აქ ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩავკიდეთ და წავედით იმ კორპუსისაკენ, სადაც მეთექვსმეტე ბინა იყო. როდესაც ჩვენ იმ თხრილზე გადებულ ფიცარზე გავდიოდით, რომელიც მეწყალსადენეებმა გათხარეს, მე მაგრად მქონდა ხელი ჩაკიდებული ფენიას საყელოზე, იმიტომ რომ ის მაშინ ოთხი ან ხუთი წლისა იყო, მე კი უკვე დიდი ხანია მეთორმეტე წელში გადავდექი.

ჩვენ სულ მაღლა ავედით და მხოლოდ მაშინ შევამჩნიეთ, რომ ჩვენს უკან კიბეებზე ქაქანით მობობღავდა ეშმაკი ბრუტიკი.

ბინის კარი არ იყო დაკეტილი. როგორც კი შევედით, დედა მივარდა ფენიას. მას სახე ნამტირალევი ჰქონდა, ხელში ცისფერი შარფი და ტყავის ხელჩანთა ეჭირა.

— უი ჩემს თავს! — წამოიყვირა მან და ფენია ხელში აიტაცა. — სად გაითითხნე ასე ერთიანად? დაჯექი და ნუ წრიალებ, უბედური ქმნილებავ! მე უშენოდაც არ მაკლია უბედურება!...

იგი აჩქარებით ლაპარაკობდა და ხან სველი პირსახოცის ბოლოს დასტაცებდა ხელს, ხან ფენიას ჭუჭყიან წინსაფარს უხსნიდა... თან ლოყებზე ჩამოგორებულ ცრემლებს იშორებდა. ეტყობოდა, სადღაც ძლიერ ეჩქარებოდა.

— ბიჭიკო, — მთხოვა მან, — შენ კარგი ბიჭი ხარ. შენ ჩემი გოგონა გიყვარს. მე ფანჯრიდან ყველაფერს ვხედავდი. დარჩი ფენიასთან ბინაში, ერთი საათით. ძლიერ მეჩქარება. სამაგიეროდ მეც როდესმე სიკეთით გადაგიხდი.

მან მხარზე ხელი დამადო, მაგრამ მისი ნამტირალევი თვალები ცივად და დაჟინებით შემომცქეროდნენ.



მე არ მეცალა, მეწაღესთან ვიყავი წასასვლელი დედის ფეხსაცმელების მოსატანად, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი და დავეთანხმე, იმიტომ რომ, როდესაც ადამიანი ასეთ უბრალო რამეს ასე დაჟინებით, შეშფოთებული სიტყვებით გთხოვს, მაშასადამე, ეს უბრალო რამე სრულებითაც არაა უბრალო და, მაშასადამე, უბედურება სადღაც სულ ახლოსაა.

— კარგი, დედა, — განაწყენებული ხმით უთხრა ფენიამ და სველი სახე ხელისგულით შეიწმინდა, — მაგრამ ამისათვის შენ რაიმე გემრიელი მოგვეცი, თორემ ისე მოგვეწყინება.

— თქვენ თვითონ აიღეთ, — მიუგო დედამ, გასაღებების შეკვრა მაგიდაზე დააგდო, აჩქარებით მოეხვია ფენიას და გავიდა.

— ოი, მან კამოდის ყველა გასაღები დატოვა. აი საოცრება! — წამოიყვირა ფენიამ და მაგიდიდან გასაღებების შეკვრა ჩამოათრია.

— რა არის აქ გასაოცარი? — გამიკვირდა მე, — ჩვენ ხომ შინაურები ვართ და არა ქურდები და ყაჩაღები!

— ჩვენ ყაჩაღები არა ვართ, — დამეთანხმა ფენია, — მაგრამ როდესაც მე იმ კამოდში ვძვრები, ყოველთვის უნებლიედ რაღაცას ვტეხ. ანდა, აი, ამ ცოტა ხნის წინათ მურაბა დამექცა და მთლად იატაკზე დაიღვარა.

ჩვენ ამოვიღეთ თითო-თითო კანფეტი და თაფლის კვერი. ბრუტიკს კი დავუგდეთ გამხმარი ბლითი და ცხვირზე თაფლი წავუსვით.

***

გაღებულ ფანჯარასთან მივედით.

შე! სახლი კი არა, ნამდვილი მთაა. აქედან როგორც ციცაბო კლდიდან, ისე მოჩანდა მწვანე მინდვრებიც, გრძელი გუბურაც და უსწორმასწორო ხევიც, რომლის იქითაც ერთმა მუშამ ზამთარში მგელი მოკლა. ირგვლივ კი უსასრულო ტყეები და ტყეები...

— შეჩერდი, წინ ნუ მიძვრები, ფენკა! — წამოვიძახე მე და იგი ფანჯრის რაფიდან ჩამოვათრიე. ხელისგული მოვიჩრდილე და ფანჯარაში გავიხედე.

რაშია საქმე? ეს ფანჯარა სრულებითაც არ გადიოდა იქით, საითაც იყო მდინარე კალვა და შორეული, კვამლში გახვეული ტორფიანი ჭაობები, მაგრამ სამიოდე კილომეტრის სიშორეზე ტყის სიღრმიდან ამოდიოდა რუხი კვამლის სქელი ღრუბელი. როგორ და როდის მოასწრო ხანძარმა იქ გადასვლა, ეს ჩემთვის გაუგებარი იყო.

შემოვბრუნდი. ბრუტიკი იატაკზე იწვა და ხარბად ღრღნიდა ფენიას გადაგდებულ თაფლის კვერს, თვითონ ფენია კი კუთხეში იდგა და ბოროტი თვალებით შემომყურებდა.

— ხულიგანო! — გაჯავრებით მითხრა მან, — შენ დედამ დაგტოვა იმისათვის, რომ მე მეთამაშო, შენ კი ფენკას მეძახი და ფანჯარასთან არ მიშვებ. მაშ, სულაც ადექი და წადი ჩვენი სახლიდან!

— ფენეჩკა, — დავუძახე მე, — აბა, ჩქარა მოდი, შეხედე ქვევით რა ხდება!

ქვევით კი აი რა ხდებოდა:

ქუჩაში ქენებით ჩაიქროლა ორმა ცხენოსანმა.

პერვომაისკის მრგვალ მოედანზე, კიროვის ძეგლის ახლოს, მხრებზე გადებული ბარებით, აჩქარებით ჩაიარა ორმოციოდე კაცისაგან შემდგარმა რაზმმა.

გაიღო ქარხნის მთავარი ჭიშკარი და გამოგორდა ხალხით გაჭედილი ხუთი სატვირთო მანქანა. მათ ღრიალით გაუსწრეს ფეხოსან რაზმს და სკოლასთან მოსახვევს მიეფარნენ. დაბლა, ქუჩებში, გუნდ-გუნდად წრიალებდნენ ბიჭები. მათ ალბათ უკვე ყველაფერი გაიგეს, ყველაფერი შეიტყვეს, მე კი უნდა ვმჯდარიყავი და გომბიო მეწყემსა. საწყენია!

ბოლოს, როდესაც სახანძრო საყვირი აღრიალდა, მე ველარ მოვითმინე:

— ფენეჩკა, — ვთხოვე მე, — შენ აქ დარჩი მარტო, მე კი სულ ცოტა ხნით ეზოში ჩავირბენ.

— არა, — უარი განაცხადა ფენიამ, — ახლა მე მეშინია. გესმის, როგორ ღრიალებს?

— დიდი საქმე, თუ ღრიალებს! ეს ხომ საყვირი ღრიალებს და არა მგელი! შეგჭამს თუ? კარგი, ნუ წუწუნებ, მოდი ერთად ჩავიდეთ ეზოში. იქ სულ ერთი წუთი გავჩერდებით და უკანვე ამოვალთ.

— კარები? — ეშმაკურად შემეკითხა ფენია, — დედას კარების გასაღები არ დაუტოვებია. ჩვენ კარებს მივაჯახუნებთ, საკეტი გატკაცუნდება, და მერე? არა, ვალოდკა, უმჯობესია აქ დარჩე.

მაგრამ მე გული არ მიდგებოდა, წამდაუწუმ ფანჯარასთან მივრბოდი და თან ხმამაღლა ვჯავრობდი ფენიაზე:

— აბა, რატომ უნდა გმწყემსო მე შენ? ცხენი ხარ თუ ძროხა! ნუ თუ არ შეგიძლია დედას მარტო დაელოდო? სხვა გოგოები ყოველთვის სხედან და ელოდებიან. აიღებენ რაიმე ჩვარს, ნაკუწებს, გააკეთებენ თოჯინას — ნა-ნა, ნა-ნი-ნა. ანდა, ჩვარი თუ არ გინდა, დამჯდარიყავი და გეხატა სპილო, კუდითა და რქებით.

— არ შემიძლია, — ჯიუტად მომიგო ფენიამ, — მე თუ მარტო დავრჩი, შეიძლება გავალო ონკანი, დაკეტვა კი დამავიწყდება. ანდა, შეიძლება, მაგიდაზე დავღვარო მთელი მელანი. აი, ერთხელ ღუმელიდან გადმოვარდა ქვაბი... მეორედ კი საკეტში ლურსმანი გაეჩხირა. დედა მოვიდა, გასაღები ატრიალა, ატრიალა, კარები კი არ გაიღო. შემდეგ დაუძახა ძიას და მან საკეტი გამოტეხა. არა, — ამოიხვნეშა ფენიამ,— მარტო დარჩენა ძალიან ძნელია.

— უბედურო! — წამოვიყვირე მე,—ვინ გაიძულებს გაალო ონკანი, გადააბრუნო მელანი, გადმოაგდო ქვაბი და საკეტში ლურსმნები შეჩარო. მე, დედაშენის ადგილზე, ავიღებდი თოკს და ერთი კარგად მიგტყეპავდი.

— მიტყეპა არ შეიძლება, — დარწმუნებით მომიგო ფენიამ და მხიარული ყვირილით გავარდა წინა ოთახში, იმიტომ რომ შემოვიდა დედამისი.

სწრაფად და ყურადღებით შეხედა მან თავის გოგონას, მოათვალიერა ოთახი და დაღლილი დაეშვა დივანზე.

— წადი, ხელპირი დაიბანე, — უბრძანა მან ფენიას, — ახლა ჩვენთან მანქანა მოვა და აეროდრომზე წავალთ მამასთან.

ფენიამ შეჰკივლა, ბრუტიკს თათზე ფეხი დააბიჯა, კაუჭიდან პირსახოცი ჩამოგლიჯა, იატაკზე გაათრია და სამზარეულოში გაიქცა.

უცებ დამცხა. მე ჯერ არასდროს ვყოფილიყავ აეროდრომზე, რომელიც ჩვენი ქარხნიდან თხუთმეტ კილომეტრზე იყო.

ავიაციის დღესაც კი, როდესაც ყველა მოსწავლე სატვირთო მანქანებით წაიყვანეს იქ, მე არ წავსულვარ, იმიტომ რომ იმ დღეს ოთხი ჭიქა ცივი ბურახი დავლიე, კინაღამ დავყრუვდი და მთელი სამი დღე ლოგინში ვიწექი, ტანზე სათბურები მედო.

შერწყვი გადავყლაპე და ფენიას დედას ფრთხილად შევეკითხე:

— დიდხანს დარჩებით თქვენ და ფენია აეროდრომზე?

— არა. ჩვენ მხოლოდ მივალთ და უმალვე უკან დავბრუნდებით.

შუბლზე ოფლმა დამასხა. გამახსენდა მისი დაპირება—ჩემთვისაც რაიმე სიკეთე გაეკეთებინა, მთელი გამბედაობა მოვიკრიფე და ვთხოვე:

— იცით რა, წამიყვანით მეც აეროდრომზე.

ფენიას დედამ არაფერი მიპასუხა, თითქოს ჩემი თხოვნა არც გაუგია. მან თავისკენ მიიწია სარკე, გაპუდრული ბამბა ჯადოსნურად სახეზე გადაისვა, რაღაც წაიჩურჩულა, შემდეგ მე შემომხედა.

ალბათ ძლიერ სასაცილო და მოწყენილი შესახედაობა მქონდა, იმიტომ, რომ მან ოდნავ გაიღიმა, მუცელზე ჩამოცურებული ქამარი გამისწორა და მითხრა:

— კარგი! მე ვიცი, რომ შენ ჩემი გოგონა გიყვარს. და თუკი შინიდან გამოგიშვებენ, წამოდი.

— მას სრულებითაც არ ვუყვარვარ, — სახის წმენდით, მაცდრად მიუგო ფენიამ, — მან მე ძროხა მიწოდა, და მითხრა — საცემი ხარო.

— კი მაგრამ, ფენეჩკა, შენ ხომ პირველმა გამლანძღე, — შეეშინდი მე, — და ამას გარდა, მე მხოლოდ გეხუმრე. მე ხომ შენ ყოველთვის გესარჩლები.

— ის მართალია, — დამიდასტურა ფენიამ, თან პირსახოცით იწმენდდა ლოყებს, — ეს ყოველთვის მესარჩლება. ვიტკა კრიუკოვი კი — მხოლოდ ერთხელ გამომესარჩლა. არიან ისეთებიც, ხულიგნები, რომლებიც არც ერთხელ არ გამომესარჩლებიან.

შინ გავქანდი. მაგრამ ეზოში ვიტკა კრიუკოვს შევეჩეხე და მან სულმოუთქმელად, ერთბაშად მომახალა, რომ საზღვარი გადმოლახა სამმა თეთრგვარდიელმა და რომ ეს—მათ წაუკიდის ტყის ცეცხლი, იმისათვის, რომ ჩვენი დიდი ქარხანა დამწვარიყო.

ვაჩკაში! ბინაში შევვარდი, მაგრამ აქ სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა: მაგიდას უჯდა ქაღალდის ფურცელზე თავდახრილი დედაჩემი და პატარა ფარგლით ნახაზზე რაღაც წრეებს ნიშნავდა.

— დედა, — აღელვებით დავუძახე მე,—შინ ხარ?

— ფრთხილად, — მომიგო დედამ, — მაგიდას ნუ ანძრევ.

— დედა, რას უზიხარ? შენ უკვე გაიგე თეთრგვარდიელების შესახებ?

დედამ სახაზავი აიღო და ქაღალდზე გრძელი წვრილი ხაზი გაავლო.

— მე, ვალოდკა, არა მცალია. ჰო, გადმოლახეს. იმათ უჩემოდაც მალე დაიჭერენ. უკეთესი იყო შენ მეწაღესთან წასულიყავი ჩემი ფეხსაცმელებისათვის.

— დედა, — შევევედრე მე, — ახლა მაგის დროა? შეიძლება ფენიასა და დედამისთან ერთად აეროდრომზე წავიდე? ჩვენ მხოლოდ მივალთ და უმალვე უკან დავბრუნდებით.

— არა, — მიპასუხა დედამ. — ეს სრულიად არაა საჭირო.

— დედა, — დაჟინებით განვაგრძობდი მე,—გახსოვს შენ და მამას რომ გინდოდათ მანქანით ჩემი ირკუტსკში წაყვანა? და მეც უკვე მზად ვიყავი, მაგრამ მოვიდა კიდევ რომელიღაც ამხანაგი, ადგილები აღარ გვეყო და შენ ჩუმად მთხოვე (აქ დედამ ნახაზს თვალი მოწყვიტა და მე შემომხედა), და შენ მთხოვე, რომ მე არ გავჯავრებულიყავი და დავრჩენილიყავი. და მე მაშინ არც გავჯავრებულვარ, გავჩუმდი და დავრჩი კიდეც. შენ ეს გახსოვს?

— კი, ახლა მახსოვს.

— შეიძლება, ფენიასთან ერთად მანქანით წავიდე?

— შეიძლება, — მიპასუხა დედამ და წყენით დაუმატა: — ადამიანი კი არა, ბარბაროსი ხარ, ვალოდკა! ჩათვლამდე ისედაც ძლივს მყოფნის დრო, ახლა კი ფეხსაცმელებზე მე თვითონ უნდა წავიდე.

—დედა, — ბედნიერად ავლუღლუღდი მე, — ნუ გენანება... ჩაიცვი შენი ახალი ფეხსაცმელები და წითელი კაბა. დამაცა, გავიზრდები და აბრეშუმის შალს გაჩუქებ.

— კეთილი, კეთილი, მომწყდი თავიდან, — გაიღიმა დედამ, — სამზარეულოში გაიხვიე ორი კატლეტი და ბულკი. გასაღები წაიღე თორემ დაბრუნდები და მე შინ არ დაგხვდები.

სწრაფად მოვემზადე. მარცხენა ჯიბეში ჩავიტენე შეხვეული საუზმე, მარჯვენაში — ნამდვილი ბრაუნინგის მსგავსი კალის რევოლვერი, და ეზოში გამოვვარდი, სადაც სწორედ ამ დროს მსუბუქი მანქანა შემოდიოდა.

პირველად ფენიამ მოირბინა, მას მოყვა ბრუტიკი. ჩვენ თავმომწონედ ვისხედით ტყავის რბილ ბალიშებზე, პატარა ბავშვები კი მანქანას შემოხვევოდნენ, ჩვენი ბედი შურდათ.

— იცი რა, — შოფერს ალმაცერად გადახედა და ჩურჩულით მითხრა ფენიამ, — მოდი ბრუტიკიც წავიყვანოთ. შეხედე, როგორ ხტის.

— მერე, დედაშენი?

— არა უშავს. ის თავდაპირველად ვერ შეამჩნევს, შემდეგ კი ჩვენ ვეტყვით, რომ თვითონაც არ შეგვინიშნავს. მოდი აქ, ბრუტიკ!.. მოდი, შე ბანჯგვლიანო სულელო.

სტაცა ლეკვს ხელი და კაბინაში შემოათრია, კუთხეში დასვა, სახოცი გადააფარა და, როდესაც მოახლოებული დედა დაინახა, კუდრაჭა გოგონამ კაბინის ჭერზე ელექტრონის ფარანს დაუწყო დაჟინებით თვალიერება.

მანქანა ეზოდან გასრიალდა, მოუხვია და აზმაურებული, შეშფოთებული ქუჩით გასწია. ძლიერი ქარი ქროდა და კვამლის სუნი უკვე შესამჩნევად სწვავდა ნესტოებს.

• • •

ოღრო-ჩოღრო გზაზე მანქანა ირყეოდა და ხტუნავდა. ბრუტიკს სახოციდან თავი გამოეყო და გაცბუნებული უგდებდა ყურს მოტორის თუხთუხს.

თვალწინ დაქროდნენ შეშფოთებული ჭკები. მწყემსები სახრეების ხმამაღალი ტყლაშუნით, გაჯავრებით უყრიდნენ თავს შეშფოთებულ, აბლავლებულ ნახირს. განმარტოებით მდგარ ფიჭვის ხესთან იდგა დაფალამანდებული ცხენი და ყურებდაცქვეტილი ყნოსავდა ჰაერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩაგვიქროლა მოტოციკლისტმა. და ისე სწრაფად მიქროდა მისი მანქანა, რომ, როდესაც ჩვენ უკანა სარკმლისკენ მობრუნება მოვასწარით, ის უკვე კელასავით ანდა უბრალო ბუზივით პატარა მოგვეჩვენა.

მაღალი ტყის პირას მივედით და აქ შაშხანიანმა წითელარმიელმა გზა გადაგვიღობა.

— იქით აღარ შეიძლება, — გაგვაფრთხილა მან, — დაბრუნდით უკან.

— შეიძლება, — მიუგო შოფერმა: — ეს მფრინავ ფედოსეევის ცოლია.

— კარგი, — თქვა მაშინ წითელარმიელმა, — მოიცადეთ.

მან სასტვენი ამოიღო და ორჯერ დასტვენით უფროსი გამოიძახა.

ვიდრე ჩვენ ვიცდიდით, მოვიდა კიდევ ორი სამხედრო. მათ საბელით ეჭირათ ვეება ძაღლები. ესენი იყვნენ მეძებრები დაცვის რაზმიდან: ვეტერი და ლიუტა.

მე ბრუტიკი ავიყვანე და სარკმელში გავახედე. ასეთი საფრთხობელების დანახვაზე მან შიშით აქიცინა კუდი. მაგრამ ვეტერს და ლიუტას მისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ.

მოვიდა კაცი უშაშხანოდ, ნაგანით. როდესაც გაიგო, რომ ის მფრინავ ფედოსეევის ცოლი მიემგზავრებოდა მანქანით, სამხედრო სალამი მოგვცა, ყარაულს ხელი დაუქნია და გაგვატარა.

— დედა, — შეეკითხა ფენია, — რატომაა რომ, თუ ისე უბრალოდ მიდიხარ — არ შეიძლება, ხოლო თუ ეტყვი — მფრინავ ფედოსეევის ცოლი ვარო, მაშინ კი შეიძლება. კარგია ფედოსეევის ცოლობა, ხომ მართალია?

— გაჩუმდი, სულელო! — მიუგო დედამ.—თვითონაც არ იცი რას როშავ!

ნესტის სუნი გვეცა. ხეებს შორის გაიელვა წყალმა. და აა, მარჯვნივ გამოჩნდა გრძელი და ფართო ტბა კუიჩუკი.

უცნაური, არნახული სურათი გადაიშალა ჩვენს თვალწინ. ქროდა ქარი, ტბაზე დაგორავდნენ თეთრად აქაფებული ტალღები, შორეულ, მოპირდაპირე ნაპირზე კი ალისფრად ენთო ტყე. აქამდეც კი, ტბის გამოღმა, კილომეტრის მანძილზე, ცხელ ჰაერთან ერთად აღწევდა ბუბუნი და ტკაცანი.

მოედებოდა ფისიანი ფიჭვის წიწვებს ალი, მყის ავარდებოდა და იმავე წუთს ეცემოდა მიწაზე. ალი ბზრიალასავით ტრიალებდა დაბლა, და გრძელი, ცხელი ენით ლოკავდა ტბის წყალს. ზოგჯერ ეცემოდა ხე და მისი დავარდნისაგან აღიმართებოდა შავი კვამლის სვეტი, მაგრამ მაშინვე დაუქროლებდა ქარი და ნაფლეთებად აქცევდა.

— ღამით წაუკიდეს, — მოღუშულად განმარტა შოფერმა,— მათ დიდი ხანია დაიჭერდნენ ძაღლებით, მაგრამ ცეცხლმა ნაკვალევი წაშალა და ლიუტას მუშაობა უძნელდება.

— ვინ წაუკიდა? — ჩურჩულით შემეკითხა ფენია, — განა განგებ წაუკიდეს?

— ბოროტმა ადამიანებმა, — ჩუმად მივუგე მე,—მათ მთელი ქვეყნიერების დაწვაც უნდათ.

— და ისინი მალე დასწვავენ?

— რას ამბობ! ნახე ჩვენები შაშხანებით? მათ მალე დაიჭერენ.

— დაიჭერენ, — კვერი დამიკრა ფენიამ, — ოღონდ ჩქარა კი დაიჭირონ, თორემ ცხოვრება საშიშია. ხომ ასეა, ვალოდია?

— ეს შენ გეშინია, მე კი სულაც არა. მამაჩემი ომში იყო და მაინც არ ეშინოდა.

— მაგრამ ის ხომ მამაა... მამაჩემიც...

მანქანა ტყიდან გამოვიდა, და გავჩნდით დიდ მინდორზე, სადაც აეროდრომი გაშლილიყო.

ფენიას დედამ გვიბრძანა გადმოვსულიყავით მანქანიდან და შორს არ წავსულიყავით, თვითონ კი დიდი ძელური შენობის კარებისაკენ გაემართა. როცა მან ჩაუარა, მფრინავები, მექანიკოსები და ყველა ადამიანი, ვინც პარმაღზე იდგა, ერთბაშად გაჩუმდნენ და უხმოდ მიესალმნენ მას.

ვიდრე ფენია ბრუტიკთან ერთად მანქანის ირგვლივ დარბოდა, მე შეჯგუფებულ ხალხს მივეტმასნე და მათი ლაპარა-

კიდან გავიგე, რომ ფენიას მამა, მფრინავი ფედოსეევი გუშინ საღამოს მსუბუქი მანქანით გაფრენილა ხანძრის რაიონის გამოსარკვევად. მაგრამ აი უკვე თითქმის ოცდაოთხი საათი გავიდა და ის კი არ დაბრუნებულა.

მაშასადამე მანქანას ავარია შეემთხვა ანდა იძულებული გახდა ძირს დაშვებულიყო. მაგრამ სად? კარგია თუ იმ მხარეს არ დაეშვა, სადაც ტყე იწვოდა, იმიტომ, რომ ოცდაოთხ საათში ცეცხლი თითქმის ოც კვადრატულ კილომეტრზე გაიშალა.

განგაშია! ჩვენი საზღვარი გადმოლახა სამმა შეიარაღებულმა ბანდიტმა! ისინი ნახა საბჭოთა მეურნეობის „ისტრას“ მეჯინიბემ.

მაგრამ მას სროლა აუტეხეს და ცხენი მოუკლეს, თვითონ ფეხში დასჭრეს და ამიტომ მეჯინიბემ ასე გვიან მოაღწია ჩვენს დაბამდე.

განრისხებული და აღელვებული, კალის ბრაუნინგის ქნევით დავაბიჯებდი მინდორზე მანამდე, ვიდრე შუბლით იმ მაღალი კაცის მკერდზე მიბნეულ ორდენს არ მივეჯახე, რომელიც ფენიას დედასთან ერთად მანქანისაკენ მოდიოდა.

ძლიერი ხელით შემაჩერა იმ კაცმა, შეხედა ჩემს გაფხაჭნილ შუბლს და ხელიდან კალის ბრაუნინგი გამომართვა.

მე დავიბენი და გავწითლდი.

მაგრამ ის კაცი არ იღიმებოდა, არ უთქვამს არც ერთი დამცინავი სიტყვა. მან დახედა ჩემს იარაღს, ხელის გულზე აწონა, ტყავის პალტოს სახელოზე გაწმინდა და თავაზიანად გამომიწოდა.

შემდეგ მე გავიგე, რომ ეს ესკადრილიის კომისარი იყო. მან მანქანამდე მიგვაცილა და ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ მფრინავ ფედოსეევს განუწყვეტლივ ეძებენ მიწაზეც და ჰაერიდანაც.

* * *

ჩვენ შინ გავქანდით.

უკვე საღამოვდებოდა. ფენიამ იგრძნო რომ საქმე ცუდად იყო, მოწყენილი, წყნარად იჯდა კუთხეში, ბრუტიკს აღარ ეთამაშებოდა. და ბოლოს დედის მუხლებში თავჩარგულმა ერთბაშად ჩათვლიმა.

ახლა სულ უფრო ხშირად გვიხდებოდა სვლის შენელება და შემხვედრი მანქანების გატარება. მიჰქროდნენ სატვირთო მანქანები, სამხედრო საზიდრები. ჩაიარა მესანგრეთა ასეულმა. ჩაიქროლა წითელმა, მსუბუქმა ავტომობილმა, ჩვენმა კი არა, ვიღაც სხვისამ — ალბათ, რომელიმე უფროსისამ, ირკუტსკიდან.

და ის იყო გზა ცოტა განთავისუფლდა, ის იყო ჩვენმა შოფერმა მანქანა სრული სვლით დასძრა, რომ უცებ რაღაც გატკაცუნდა და მანქანა შეჩერდა.

შოფერი ჩამოვიდა, მანქანას შემოუარა, შეიგინა, მიწიდან აიღო ვიღაცის მიერ დაგდებული ფოცხის რკინის კბილი, ამოიხვნეშა და განაცხადა, რომ კამერა გასკდა და მას ბორბლის შეცვლა მოუხდება.

იმისათვის, რომ შოფერს დომკრატით მანქანის აწევა გაადვილებოდა, ფენიას დედა და მე მანქანიდან გადმოვედით. მე ბრუტიკიც გადმომყვა.

ვიდრე შოფერი შეკეთებისათვის მოემზადებოდა და სავარძელს ქვემოდან სხვადასხვა ხელსაწყო გამოქონდა, ფენიას დედა ტყის პირზე დადიოდა. მე და ბრუტიკმა კი ტყეში შევირბინეთ და აქ, ტევრში, სირბილი და მალვა დავიწყეთ. იგი დიდხანს რომ ვერ მიპოვიდა, შიშისაგან საშინელ ყმუილს იწყებდა

თამაშში გავერთეთ. მე ქოშინი ამივარდა. ძირკვზე ჩამოვჯექი და დავფიქრდი, შორეული სიგნალის გაგონებაზე წამოვხტი, ბრუტიკს დავუძახე და გავქანდი.

მაგრამ ორი-სამი წუთის შემდეგ შევჩერდი, მოვისაზრე, რომ ჩვენი მანქანის სიგნალი არ იყო. ჩვენსას მრავალხმიანი, სასიამოვნო სიგნალი ჰქონდა. ეს კი სატვირთო მანქანასავით უხეშად ღრიალებდა. მაშინ მე მარჯვნივ მოვუხვიე და, როგორც მომეჩვენა, პირდაპირ გზისკენ გავემართე.

შორიდან მოისმა სიგნალი. ახლა უკვე ჩვენი მანქანა იყო. მაგრამ საიდან მესმოდა ხმა — კარგად ვერ გავერკვიე.

მკვეთრად გადავუხვიე კიდევ უფრო მარჯვნივ და მთელი ძალით გავიქეცი.

პატარა ბრუტიკი ბალახებში იხლართებოდა და უკან მომდევდა.

დაბნეული რომ არ ვყოფილიყავი, ადგილზე გავჩერდებოდი, ანდა წყნარად განვაგრძობდი გზას, ახალ სიგნალებს დაველოდებოდი. მაგრამ მე შიშმა შემიპყრო. სირბილით შევვარდი ქაობში. ძლივძლივობით გამოვედი მშრალ ადგილზე. ჩუ, ისევ სიგნალი! მე უკან უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ საფლობ ქაობს მოვერიდე. გადავწყვიტე ირგვლივ შემომევლო. ავწრიალდი, ტრიალი დავიწყე და ბოლოს, თავზარდაცემულმა, პირდაპირ ტევრით მოვკურცხლე, თვითონაც არ ვიცი საით!

თარგმნა ბ. შელიამ

(დასასრული შემდეგ ნომერში)



# ახალგაზრდობის საყვარელი პოეტი



გამოჩენილ ქართველ პოეტს ალიო მირცხულავას (მაშაშვილს) ამა წლის 28 აპრილს დაბადებიდან 50 წლისთავი შეუსრულდა. საბჭოთა საზოგადოებრიობამ როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ფართოდ აღნიშნა ეს თარიღი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პოეტი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ალიო მირცხულავას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში; როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, იგი მაშინ 17—18 წლის ჭაბუკი იყო. პოეტის პირველივე სტრიქონები გამსჭვალულია ახალი, სოციალისტური სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულის გრძნობით, კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით. ალიო მირცხულავამ ჩვენს პოეზიაში დაამკვიდრა მებრძოლი პათოსი. მას სამართლიანად აქვს დამსახურებული «მქუხარე ხმის» პოეტის სახელი. ეს სახელი მას მოუხვეჭა შესანიშნავმა ლექსებმა: «დამკვრელი ბრიგადები», «სამშობლო ბელადისა», «ზღვა», «რიქშა», «ჩემი ცხოვრების მთავარი თემა» და სხვ.

უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მკითხველთა შორის პოეტის ის ლექსები, რომლებშიც ასახულია განახლებული სამშობლოს აყვავება, განმტკიცება, მისი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი. ბევრი მათგანი იმდენად მოხდენილი და მელოდიურია, რომ ხალხმა გამოქვეყნებისთანავე სასიმღეროდ აქცია. იშვიათია ქართველი, რომელმაც ზეპირად არ იცოდეს ალიო მირცხულავას მრავალი შესანიშნავი ლექსი.

მირცხულავას პოეზიაში ამაღლევებლად არის გამოხატული ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი, სიყვარული ჩვენი დიადი სამშობლოსადმი.

როცა ჩვენი ქვეყანა გმირულად იბრძოდა ფაშისტთა გამხეცებული ურდოების წინააღმდეგ, პოეტის ხმა მრისხანედ გაისმოდა. თავისი ცეცხლოვანი სიტყვით იგი მხნეობისა და სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს და გამარჯვებისადმი რწმენით აღავსებდა მათ გულებს.

მნიშვნელოვანი ნაწარმოებები დაწერა ალიო მირცხულავამ ომისშემდგომი ცხოვრების თემაზეც. ლირიკული ლექსების გარდა მის კალამს ეკუთვნის პოემები: «მე და ბარათაშვილი», «აი ადამიანი», «ენგური» და «რუსთავი», აგრეთვე პიესა «განგაში».

მოწინავე საბჭოთა პოეტმა ა. მირცხულავამ არაერთი მაღალმხატვრული ნაწარმოები უძღვნა ჩვენი სამშობლოს ნორჩ მოქალაქეებს. პიონერებს არასოდეს არ დაავიწყდებათ მისი მომწოდებელი, ომახიანი ლაშქრული სიმღერები, როგორც მაგალითად:

«ეს რა ხმებია მრისხანე,
ეს რა სიმღერას მღერიან?
გვეძახის შეკრებისაკენ
საბჭოთა პიონერია!
აი ლაშქარი ამდენი,
შეერთებული ძმურადა —
ჩინელი, რუსი, ქართველი
რიგში ვართ დარაზმულადა».

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იუბილარი რამდენიმე წელს ხელმძღვანელობდა ჟურნალ «პიონერს», როდესაც იგი ახლად-დაარსებული იყო. ა. მირცხულავა არც ახლა ივიწყებს ნორჩ მკითხველებს. საბავშვო ჟურნალებში ბოლო დროს მან გამოაქვეყნა ლექსები: «პიონერის ოცნება», «გორი», «ლენინი», «დედა» და სხვები, რომელთაც სიამოვნებით გაეცნო ათასობით ნორჩი მკითხველი.

ალიო მირცხულავა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდა მკითხველთა შორის. მისი ლექსები შეტანილია სასკოლო ქრესტომათიებში, და ახალგაზრდა თაობა გატაცებით სწავლობს მათ. ამ ლექსებში ახალგაზრდობას იზიდავს ღრმა იდეურობა, გრძნობის უშუალობა, სახეების მკაფიობა, მუსიკალური ჟღერა.

ახალგაზრდებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში პოეტი ამბობს:

«ისევ ჰქუხს ჩემი ლექსის ნაღარა, —
ვით უწინ, ახლაც მხნე და გმირული,
თუმც გამერია თმებში ჭაღარა,
გული მაინც მაქვს კომკავშირული!»

და მართლაც, ჩვენს ახალგაზრდობას ეჭვი არ ეპარება, რომ ალიო მირცხულავა კვლავ დიდი ენერგიით განაგრძობს თავის საყვარელ საქმეს—პოეტური სიტყვით სამშობლოსა, ხალხისა და პარტიისადმი უანგარო სამსახურს.

ვასილ ბაიაძე

ნახ. კ. მახარაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნ. ტიხონოვი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

# საუბარი*

ეს იყო უღარიბესი მიწური ქოხი. ზაფხულში ადამიანს ჭერიდან განუწყვეტლივ აცვიოდა გამხმარი თიხის ნაფშხვენი თავსა და მხრებზე. წვიმაში ჭუჭყიანი ღვარი ჩამოდიოდა კედლებზე. აგერ-აგერ, ქოხი თავზე ჩამოენგრეოდა მობინადრეებს! მაშინ მთელი საცხოვრებლიდან მხოლოდ სველი, მძიმე თიხის გროვაღა დარჩებოდა და მეტი არაფერი.

სახურავს თვალყურის დევნება სჭირდებოდა. ჩალას თავის დროზე უნდოდა განახლება. ამ ქოხში ორი ძველი ქეჩა ეგდო. ქეჩებს სიძველისაგან ფერი დაკარგოდათ. ჭურჭლის მაგივრად იატაკზე საგულდაგულოდ დარეცხილი სხვადასხვა ზომის კონსერვის ქილები ეწყო. ისინი ქვაბების, ფინჯნების, თეფშებისა და ჭიქების მაგივრობას ეწეოდნენ.

პატარა კერიას მწარე, მოლურჯო-მომწვანო ფერის კვამლი ასდიოდა, რადგან სადილი, სხვა საწვავის უქონლობის გამო, წივაზე კეთდებოდა. კუთხეში ორი საკერებელდადებული საბანი ეღაგა.

კაცის გონება ვერ წარმოიდგენს ასეთ სიღატაკეს. სიღატაკე მრავალი წლის განმავლობაში ესახლა ამ ქოხში. სიცოცხლე ამ შიშველ თიხის კედლებს შორის მიმდინარეობდა ისე, რომ აქ მცხოვრებთ არავითარი იმედი არ ჰქონდათ რაიმე ცვლილებებისა. მხოლოდ სიკვდილს შეუძლია ამ ყოფაში რაიმე შეცვალოს. მაშინ ამ საბნებისა და ქილების მფლობელთ უფრო ვიწრო თიხის ყუთში ჩასდებენ და ამით დამთავრდება ყველაფერი.

ქოხში რომ შევაბიჯე, კედელზე ვიღაცის სურათი შევნიშნე. იმ კუთხეში სრული სიბნელე იყო, ამიტომ ვისი პორტრეტი იყო, კარგად ვერ გავარჩიე. ასანთი ავანთე. ჩემს წინაშე მთლად შიშველ კედელზე ეკიდა სტალინის სურათი — რომელიღაც გაზეთიდან ამოჭრილი.

ეს იმდენად მოულოდნელი და საკვირველი იყო, რომ სახლის პატრონს შევეკითხე:

— საიდან გაქვს ეს სურათი?

ნახევრადშიშველმა მოხუცმა პაკისტანელმა სახეზე ხელი მოისვა, — თითქოსდა მისალმების ნიშნად, — თავის ხმელ წვერს შეეხო და აუჩქარებლად თქვა:

— ეს სტალინის სურათია. გაზეთ „იმროზიდან“ ამოვჭერი.

— ვხედავ, ვისი სურათიც არის. შენ მაშ გაზეთს კითხულობ, წერა-კითხვა იცი?

— არა,—მიპასუხა მან,—წერა-კითხვა არ ვიცი. რასაც გაზეთებში წერენ, იმის წაკითხვა მე არ შემიძლია. მომიყვებიან ხოლმე. მაგრამ მე ვიცი ვინ არის სტალინი. მე მას ვესაუბრები...

— როგორ ესაუბრები?

— როცა ძალიან მიჭირს, მაშინ ვეუბნები: „ხედავ, როგორ ვცხოვრობთ? შეიძლება ადამიანებმა ასე იცხოვრონ?“ ის მიპასუხებს:

„ვხედავ და ვიცი. მოიცათ ცოტა. ყველაფერი სხვაგვარად იქნება!“ მე ვეუბნები: „მე მჯერა ეგ! რომ არ მჯეროდეს, დიდი ხნით ადრე შევწყვეტდი ამ საცოდავ არსებობას“. მაგრამ მე მჯერა: აი, ესენი, — მან ბავშვებზე მიგვითითა, — ესენი სხვაგვარად იცხოვრებენ, სულ სხვაგვარად!“

რუსულიდან თარგმნა **ნათელა ჯიბლაძე**

---

* წიგნიდან „მოთხრობები პაკისტანზე“.





# ლაპარაკობს







ალიონია... ჯერ კიდევ დილის ნისლში გახვეულ ქალაქებსა და სოფლებს, მარადი თოვლით დაფარული კავკასიონის მწვერვალებს ეფინება საქართველოს ჰიმნის დიდებული ჰანგი... საქართველოს რადიოს მიკროფონები გახსნილია. იმ ადგილას, საიდანაც გადაცემა წარმოებს, წითელ შუქზე გარკვევით გამოჩნდა გამაფრთხილებელი წარწერა:

„სიჩუმე! მიკროფონი ჩართულია!“

პატარა, მოფარდაგებული ოთახის კარები გერმეტიულადაა დახურული. კედელზე აფარებულ ხავერდზე საათია დაკიდებული, რომლის თეთრ ციფერბლატზე გარკვევით მოჩანს წამებისა და წუთების მაჩვენებელი ნიშნები. პირდაპირ დგას მაგიდა, რომელზედაც ელექტროსინათლის შუქზე ბრწყინავს ორი პატარა მიკროფონი... სიჩუმეა... მაგიდას უსხედან ქალი და კაცი. მათ სახეზე სრული სიმშვიდე და დამაჯერებლობაა გამოხატული. ისინი რიგრიგობით გადასცემენ ცნობებს. მაგრამ ვიდრე ჩვენ ამ ადამიანებს გავეცნობოდეთ, ჯერ გავიგოთ, საიდან მიიღეს მათ ეს ტექსტი? იქნებ თვითონ მიდიან მიკროფონთან და რასაც მოისურვებენ, იმას წაიკითხავენ? არა! ვიდრე გადასაცემი ტექსტი სტუდიაში, ე. ი. მიკროფონთან მოხვდებოდეს, მას ბევრი გზა აქვს გასავლელი. გავყვეთ ამ გზას!

„საბავშვო“, „აგიტაციისა და პროპაგანდის“, „უკანასკნელი ცნობების“, „ლიტერატურულ-დრამატული“, „მუსიკალური რედაქცია“... ვკითხულობთ წარწერებს სტუდიიდან მოშორებით ჩამწკრივებულ ოთახებზე.

აქ თითოეულ რედაქციას ემსახურება გარკვეული შტატი მუშაკებისა, რომელნიც კვარტალური და ერთთვიური გეგმების წინასწარი დამუშავებისა და დამტკიცების შემდეგ შეუდგებიან მის განხორციელებას, ესე იგი გადასაცემი ტექსტების შედგენას.

ყველაფერი მზადაა... „პოლიტ-გადაცემათა რედაქციას“ მზად აქვს 9—10 გვერდი ნაბეჭდი ტექსტი, „უკანასკნელ ცნობათა რედაქციას“ შეკრებილი აქვს რესპუბლიკის ახალი ამბები, „ლიტერატურულ-დრამატულ“ და „საბავშვო გადაცემა-





# თბილისი...

6604

თა“ რედაქციებს უკვე გაუფრთხილებიათ მსახიობები, რომლებმაც უნდა წაიკითხონ მხატვრული ნაწარმოები. „მუსიკალურ გადაცემათა რედაქციას“ კონცერტის მუსიკალური საგზურები და კონცერტი — ლექციის ახსნა-განმარტებითი ტექსტი გაუმზადებია. ყველაფერი ეს სათანადოდ გაფორმებული იგზავნება სტუდიაში.



კითხულობდნენ: ლანდია და მანჯგალაძე, ტაბლიაშვილი და საგინაშვილი, კერესელიძე და ჯახუტაშვილი, ლეჟავა და თაბუკაშვილი—გესმით თქვენ რადიო-რეპროდუქტორებიდან.

ვინ არიან ეს „უხილავი“ ადამიანები, რომლებიც თქვენ ყოველდღიურად გესაუბრებიან? ესენი დიქტორები არიან.



დიქტორის მუშაობის თავისებურება ისაა, რომ იგი არა მარტო ვერ ხედავს მსმენელს, არამედ მას ხშირად უხდება წინასწარ დეტალურად შეუსწავლელი ტექსტის წაკითხვაც მიკროფონთან. ჩვეულებრივად დიქტორი წასაკითხ მასალას ღებულობს გადაცემამდე ერთი საათით ადრე. ეს გარემოება აძნელებს დიქტორის მუშაობას, აკისრებს მას კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას.

დიქტორი იმდენად ამახვილებს ყურადღებას გადასაცემ მასალაზე, რომ ნათლად წარმოიდგენს ვისთვის და რას კითხულობს ის მიკროფონთან. მას თვალწინ წარმოუდგება მსმენელი: მუშები, კოლმეურნენი, ინტელიგენცია, ბავშვები.



ნორჩ რადიომსმენელებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს რადიოგაზეთი „პიონერთა დაფიონი“, რომელიც საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა ტრიბუნას წარმოადგენს. მიკროფონთან გამოსული პიონერი გოგონები და ვაჟები რადიომსმენელებს მოუთხრობენ თავიანთი საქმიანობის შესახებ.

„პიონერთა დაფიონის“ ცალკეულ გადაცემებში შემოღებულია განყოფილებანი: „სწავლობენ ბელადების ცხოვრებასა და მოღვაწეობას“, „პიონერხელმძღვანელის საუბრები“, „პიონერულ რაზმებსა და რაზმეულებში“, „სწავლის ხუთოსნები გვიამბობენ“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკროფონთან გამოდიან მოწინავე მოსწავლეები, აქტივისტი პიონერები, პიონერხელმძღვანელები და კომკავშირელები.

დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის გაცნობის მიზნით, „პიონერთა დაფიონში" ხშირად გადაიცემა ხოლმე კორესპონდენციები და ნარკვევები სტალინური მარშრუტით მოწყობილი ექსკურსიების, საინტერესო პიონერული შეკრებების შესახებ. ნორჩი რადიომსმენელები ეცნობიან ისეთ ისტორიულ ადგილებს, როგორიცაა ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბა, თბილისის ყოფილი სასულიერო სასწავლებელი, ქუთაისის, ბათუმისა და ჭიათურის სტალინური ადგილები.

გარდა ამისა, ამ განყოფილებაში გადასცემენ საზღვარგარეთ ნამყოფ საბჭოთა ადამიანების შთაბეჭდილებებს. მაგალითად, დიდი ინტერესი გამოიწვია შორეული ნაოსნობის კაპიტანის ვახტანგ ბარათაშვილის ნარკვევებმა. ვ. ბარათაშვილმა თავისი თვალით ნახა, თუ რა საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში მცხოვრები ბავშვები.

გარდა „პიონერთა დაფიონისა", შემოღებულია ლიტერატურულ-დრამატული გადაცემები. პიონერ-მოსწავლეები დიდი ინტერესით ისმენენ პიესების, მოთხრობების, ზღაპრების რადიო-დადგმებს. ნორჩი რადიომსმენელების დიდი სიყვარულით სარგებლობენ გ. კუპრაშვილი, გ. დარისპანაშვილი, შ. ღამბაშიძე, თ. ჭავჭავაძე, მ. ჩახავა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ცნობილი მსახიობები.

საბავშვო გადაცემათა რედაქციას თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს მოწინავე მოსწავლე—დიქტორები, რომლებიც მაღალხარისხოვნად გადასცემენ „პიონერთა დაფიონის" მასალებს. მაგალითად ჯ. ვაშაყმაძე, რომელიც უკვე უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, ბავშვებისათვის ცნობილი დიქტორია. მან ჯერ კიდევ მეშვიდე-მერვე კლასიდან დაიწყო მიკროფონთან კითხვა, და ახლაც განაგრძობს ამ საპატიო საქმეს. „პიონერთა დაფიონს" ხშირად გადასცემენ ხოლმე მოსწავლე—დიქტორები: ვ. ყარაულაშვილი, ნ. გველესიანი, ც. კაჭკაჭიშვილი, გ. ბაღათურია და თ. სირაძე.

დიქტორი **დ. ძიგუა**

ფოტო ო. თურქიასი











სურათებზე: 1. მსახიობები: გ. კუპრაშვილი, ე. მანჯგალაძე და მ. ჩახავა დრამატულ გადაცემისას. 2. დიქტორი ე. მანჯგალაძე. 3. დიქტორი ე. ტაბლიაშვილი. 4. დიქტორი ვ. ჯახუტაშვილი, 5. მსახიობი გ. კუპრაშვილი. 6. მსახიობი მ. ჩახავა. 7. დიქტორები: ე. ლოპოტკინი და ი. რიზაევა «პიონერთა დაფიონის» რუსულ ენაზე გადაცემისას. 8. დიქტორი დ. ძიგუა. 9. დიქტორი ქ. ლანდია. 10. დიქტორი მ. თაბუკაშვილი. 11. დიქტორი ი. რიზაევა. 12. დიქტორი თ. ლეჟავა. 13. დიქტორი გ. საგინაშვილი. 14. დიქტორი ქ. კერესელიძე და 15. მოსწავლე — დიქტორი თ. სირაძე საბავშვო გადაცემების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექან ბარდაველიძე

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

# მ ა მ ა

ადრიანი გაზაფხულის კვირა დღეა.

ცნობილი ინჟინერი ირაკლი იაშვილი თავის გოგონასთან ერთად ხელიხელგაყრილი მიაბიჯებს ქუჩაში, ირაკლი მაღალი, შავგვრემანი კაცია, მას ძალიან კეთილი, ცისფერი თვალები აქვს. თავაზიანად ესალმება ნაცნობებს და ყურს უგდებს მზიას, რომელიც მოსიყვარულე თვალებით შესცქერის მამას და განუწყვეტლივ ელაპარაკება.

მზია ძალიან ამაყობს თავისი მამით. გინახავთ მელიქიშვილის ქუჩაზე ლამაზი, ჩუქურთმებით მოხატული სახლი? ის სახლი ინჟინერმა იაშვილმა ააგო. ოცდაექვსი კომისრების რაიონში ახალი კინოს შენობა გინახავთ? კამოს ქუჩაზე საერთო საცხოვრებლის შენობა თუ გინახავთ? ისიც მზიას მამამ ააგო. დიახ, მზიას ძალიან უყვარს მამა. იგი ხუთი წლის იყო, როდესაც პირველად ნახა მამა. მანამდე, სანამ ისე პატარა იყო, რომ თავისუფლად დააბიჯებდა მაგიდის ქვეშ და დედოფალა თითქმის მხრებამდე წვდებოდა, მამის შესახებ მხოლოდ გაეგონა. დედა ხშირად დაანახვებდა ხოლმე კედელზე ჩამოკიდებულ სურათს და ეტყოდა: „აი, ეს არის შენი მამა“. დედისგანვე გაიგო მზიამ, რომ მამა მის დაბადებამდე ორი თვით ადრე წასულიყო სახლიდან და მტერს ებრძოდა. ყურადღებით ათვალიერებდა სურათს და უკვირდა, რომ ოთახის რომელი კუთხიდანაც არ უნდა შეეხედა, მამა თვალს არ აშორებდა მას. როდესაც ფოსტალიონი წერილს მოიტანდა, დედა ძალიან გახარებული იყო. იგი გულში იკრავდა წერილს, მზიას კოცნიდა და თვალებგაბრწყინებული ამბობდა: „ეს მამისგანაა... მწერს, რომ მის მაგივრად გაკოცო“ — და ბევრს, ბევრს კოცნიდა. რაკი დედას ასე უხარია, ალბათ ეს მამა ძალიან კარგი კაცი უნდა იყოსო, — ფიქრობდა მზია. მართლაც, როდესაც მამა არმიიდან დაბრუნდა და თავისი სამუშაოთი გართული მაინც პოულობდა დროს მზიასთან სამეგობროდ, გოგონას ძალზე შეუყვარდა იგი.

როდესაც მამას გამოსასვლელი დღე აქვს, ისინი ერთად დადიან კინოში ან თეატრში, მიდიან ბაღში, ზოოპარკში, ფუნიკულიორზე. ამ დროს მამა მზიას უხსნის ხოლმე თბილისის უბნებისა და ძველი ციხე-სიმაგრეების ისტორიას, ახლომახლო მდებარე მთა-გორებისა და ადგილების სახელწოდებებს. ყოველი ასეთი გასეირნების შემდეგ მზია ახალი შთაბეჭდილებებით ბრუნდება სახლში.

აი, ახლაც ისინი ერთად მიაბიჯებენ და საუბრობენ. მზიამ უამბო მამას თუ როგორ ჩაატარა მათმა რაზმმა თვითშემოქმედების სალამო. „ჩხიკვთა ქორწილი“ დაუდგიათ პიონერებს. მზია თაგვის როლს თამაშობდა თურმე, ხოლო მისი მეგობარი მანანა კახიანი — არწივისას. ისე მოეწონათ, ისე მოეწონათ მაყურებლებს, რომ სულ სიცილით იხოცებოდნენ. ის კი არა, უმცროსკლასელებმა მოითხოვეს: კიდევ გაიმეორეთო.

ამ ლაპარაკით ისინი შევიდნენ ქალაქის ბაღში.

გაზაფხულის მზე უხვად აფრქვევდა სხივებს ახალამწვანებულ ხეივნებს. წითლად მოკირწყლულ ბილიკებზე ხალხი სეირნობდა. დაკვირტულ ბუჩქებს ნელი სიო არხევდა და გარშემო სასიამოვნო სურნელებას ავრცელებდა. მხეში მწვანე სკამზე მჯდარ თეთრწვერა მოხუცს ხუჰუჰთმიანი ბიჰუნა გაექცა. მოხუცმა ყავარჯენი დაიბჯინა და ღიმილით გაედევნა მოკისკისე ბავშვებს.

მამას და მზიას ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა. მას ნაცრისფერი მაკინტოში ეცვა და მხარზე ფოტოაპარატი ჰქონდა გადაკიდებული.

— ამხანაგო ირაკლი, — მიმართა მან მამას — მე ჟურნალის კორესპონდენტი გახლავართ. ნება მომეცით სურათი გადაგიღოთ.

მამამ გაიღიმა და თანხმობა განაცხადა. კორესპონდენტმა მამა და მზია ტოტებჩამობურდული ნაძვის ქვეშ დააყენა, ერთი ჩაიმუხლა და თვალის დახამხამებაში გადაიღო სურათი, მერე ორივეს მადლობა გადაუხადა და გაშორდა.

მამა-შვილმა კიდევ დიდხანს ისეირნეს და სადილობისას სახლში დაბრუნდნენ.

— მართლა, მამიკო, — მიმართა გზაზე მზიამ, — მალე დაამთავრებთ იმ სახლს, ახლა რომ აშენებთ?

ირაკლიმ გაიღიმა:

— მალე დავამთავრებთ, შვილო, მხოლოდ შენ მაშინ არდადეგები გექნება და დასასვენებლად იქნები წასული.

— იცი, მამიკო, როგორ მიხარია, როდესაც აშენებულ სახლს ვხედავ? ჯერ ქაღალდზეა დახატული, შემდეგ გაიხედავ და უკვე უზარმაზარი შენობაა... შენ უფრო გიხარია, ალბათ, არა, მამი?

ირაკლი ერთი წუთით შეჩერდა, მზიას თვალებში ჩახედა და თქვა:

— ძალიან მიხარია, ჩემო გოგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეეზოვემ... სასწრაფოდ სათვალეები გაიკეთა და ჟურნალს დახედა.

მზია ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ განაგრძო.

— ამასწინათ მანანა მეუბნებოდა: მამაჩემს ახალ ბინას დაპირდნენო. ისინი ხომ ვიწროდ ცხოვრობენ... აი, ის ბინაც რომ ისეთივე კარგი იქნებოდეს, როგორსაც შენ აშენებ...

* * *

ერთ დილას, სადარბაზო შესასვლელის კარები გაიღო და მზია გამოვიდა. იგი მხიარულად მიესალმა მეეზოვე ძია გიგოს, რომელიც სახლის წინ ქვაფენილს გვიდა. ძია გიგო ცოცხს დაეყრდნო.

— იცოცხლე, ჩემო მზია, — უპასუხა მან.

— ძია გიგო... — მზია ერთი წუთით შეყოყმანდა და ისევ მიმართა მეეზოვეს, — ძია გიგო, ახალი ამბავი არაფერი იცით?

მეეზოვემ გაკვირვებით შეხედა გოგონას, რომელსაც სახე სიხარულისაგან უბრწყინავდა.

— რა უნდა ვიცოდე, გოგო?

— არა, ისე გკითხეთ...

მზია ისევ შეყოყმანდა. შემდეგ უცბათ ჩანთა გახსნა, ფერადყდიანი ჟურნალი გადაშალა და ძია გიგოს თვალებთან მიუტანა.

— აი, ნახეთ...

მეეზოვემ ჯერ გოგონას შეხედა, შემდეგ სასწრაფოდ სათვალეები გაიკეთა და ჟურნალს დახედა.

— ვიშ! — აღმოხდა მას. სურათზე მზია და მამამისი იყო გამოხატული, ქვეშ კი მსხვილი ასოებით ეწერა:

„ინჟინერი ირაკლი იაშვილი თავის გოგონასთან ერთად დასვენების დღეს".

მზიამ ჟურნალი ჩანთაში ჩადო და ჩქარი ნაბიჯით გაემართა სკოლისაკენ. გადასახვევთან მზიას მანანა კახიანი წამოეწია.

— ნახე? — აღტაცებით მიმართა მანანამ და ზურგსუკან გადამალული ჟურნალი მიაჩეჩა ხელში მზიას.

— ვნახე, — ვითომც არაფერია, ისე უპასუხა მზიამ.

გოგონებმა მხიარული საუბრით განაგრძეს გზა.

მზია და მანანა საუკეთესო მეგობრები არიან, თუმცა გარეგნობით კი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მზია ტანმორჩილი, ცისფერთვალა და ოქროსფერთმებიანი გოგონაა. მანანა კანჟმალალია, ფართოთვალება და შავგვრემანია. ისინი ერთ უბანში ცხოვრობენ, ერთ კლასში სწავლობენ და თითქმის სულ ერთად არიან.

მანანამ ის სურათი მთელ კლასში ჩამოატარა, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კი კლასის დამრიგებელს — პატივცემულ ნინო მასწავლებელსაც აჩვენეს. მასწავლებელმა სურათს დახედა, მოეწონა და მზიას უთხრა:

— შენ კარგი სწავლით უნდა ეცადო, რომ სამშობლოსათვის ისეთივე სასარგებლო ადამიანი გამოხვიდე, როგორც შენი მამაა.

მზიამ და მანანამ ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს. რა იცოდა პატივცემულმა მასწავლებელმა, რომ გოგონებს გადაწყვეტილი აქვთ ინჟინრები გახდნენ...

* * *

გამოცდებიც მალე მოახლოვდა. მზია და მანანა ერთად ემზადებოდნენ. ხან იაშვილების ფართო და მყუდრო ბინაში, ხან კი, მაისის სიცხეს გარიდებულნი, სადმე ბაღში გულმოდგინედ იმეორებდნენ განვლილ მასალას. მეგობრებმა ყველა საგანი ხუთებზე ჩააბარეს. არდადეგების ერთად გატარება უნდოდათ, მაგრამ მანანა დიდედამ წაი-

ყვანა სოფელში, მზია კი პიონერთა ბანაკს გაჰყვა ქვიშხეთში.

განა შეიძლება ქვიშხეთში გატარებული დღეების დავიწყება, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა იქ? საქართველოს ყველა კუთხიდან მოიყარეს თავი პიონერებმა. ახალი ამხანაგები... საბანაკო ცხოვრება... მზია მთელი დღე ისვენებდა, ერთობოდა და თამაშობდა ნაძვნარში, დადიოდნენ ექსკურსიებზე, აწყობდნენ საღამოებს, ეჯიბრებოდნენ მეზობელ ბანაკებს... და ვინ მოსთვლის პიონერული ბანაკის ამბებს; ხშირად საღამოობით, როდესაც მზე დასავლეთისაკენ გადაიხრებოდა, პიონერები კოცონის გარშემო იკრიბებოდნენ. ბათუმელი ლევანი, მზისაგან გატრუსული ბიჭი, რომელსაც ზედმეტი სიშავის გამო ამხანაგებმა „ხოჯო" შეარქვეს, გადმოიღებდა თავის აკორდეონს და უკრავდა. უკრავდა თავდავიწყებით და კარგად. პიონერების წკრიალა ხმა ზარივით რეკდა ქვიშხეთის საღამოს მყუდროებაში. მზია თავისი სიმღერით მაინც ყველასაგან გამოირჩეოდა. „ხოჯო" ხშირად თხოვდა ხოლმე: შენი ჭირიმე, მზია, მოდი, მე აკორდეონს დავუკრავ შენ კი რაიმე იმღერეო.

— მზია, შენ უთუოდ მომღერალი გახდები, — ეუბნებოდნენ მას ტოლები და ხელმძღვანელები. მზიას კი ყველასთვის ერთი პასუხი ჰქონდა:

— მე ინჟინერი უნდა გავხდე...

შეუმჩნევლად მოახლოვდა სახლში დაბრუნების დრო.

მზიას ძალიან ენატრებოდა მამა, დედა, მანანა და მშობლიური თბილისი.

მხიარული ბავშვებით დატვირთულმა ავტობუსებმა თბილისისაკენ აიღეს გეზი.

* * *

ირაკლი იაშვილი და მისი გოგონა კვლავ მიაბიჯებენ ქუჩაზე.

— გახსოვს, მზია, შენ რომ მეკითხებოდი, როდის დაამთავრებთ ახალი სახლის მშენებლობასო?

— მართლა, მამი, რა ჰქენით?

— ორი დღის წინათ უკვე სამმართველოს ჩავაბარეთ, შვილო. ახლა იქ, ალბათ, ახალი მობინადრეები ცხოვრობენ.

მზიას სიხარული მოეფინა სახეზე და მამას მოუთმენლად მიმართა:

— წავიდეთ, მამი, ჩქარა ვნახოთ რა, ის სახლი...

მამა-შვილმა კალანდაძის ქუჩაზე გადაუხვიეს. მალე გამოჩნდა მაღალი, ოთხსართულიანი შენობა, რომელსაც მოჩუქურთმებული ფანჯრები და ძალზე ლამაზი აივნები ჰქონდა. სახლის წინ პატარა ნაძვების დარგვაც არ დავიწყებოდათ. ღია ფანჯრებში ბავშვები და დიასახლისები იხედებოდნენ ხოლმე. შენობის სახურავზე უკვე მტრედები დაბინავებულიყვნენ და სასიამოვნოდ ღუღუნებდნენ.

მზია აღტაცებით შესცქეროდა სახლს და გონებაში იმ ნახაზს ადარებდა, მამის კაბინეტში რომ ჰქონდა ნახული.

ირაკლი პაპიროსს აბოლებდა და საქმიანად ათვალიერებდა თავის ქმნილებას.

უცბათ ხელმარჯვნივ სადარბაზო შესასვლელის კარები გაიღო და გაოცებულ მეგობარს მანანა გადაეხვია. როდესაც გოგონებმა ერთმანეთის ალერსით გული იჯერეს, მზიამ ჰკითხა:

— მაშ, შენ ამ სახლში ცხოვრობ?

მანანამ თავი დაუქნია, ძია ირაკლის ახედა, მზიას აეკრა და ღიმილით ქვა:

— დიახ... შენი მამის აშენებულ სახლში.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ რ. ცუცქირიძისა

როსტომ ბექანიშვილი

# ჩემი სოფელი

## (პიონერის დღიურიდან)

ჩემს სოფელში რომ მოხვალთ, მე თქვენ წაგიყვანთ ბულბულის კოშკზე. ეს არის ყველაზე მაღალი ადგილი ახლომახლო და ყველა გამვლელი თუ სტუმარი, როცა ჩვენს მხარეს ეწვევა იმ გორაკზე მიჰყავთ, ბულბულის კოშკს რომ ეძახიან.

ბულბულის კოშკი! საკვირველია რად უნდა ბულბულს, ამ ნაზსა და ტკბილ მგალობელს, ასეთი ციხე რომ აიშენა. ხალხში თქმულებაა ასეთი, თორემ ბულბულს რად უნდა სათოფურებით დაჩითული, დუღაბით ჩაკირული, ადლიანი ქვით ნაგები კედლები! თუ ახალგაზრდა ხართ და მით უმეტეს ჩემხელა — ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი, ხელათ დაკრავთ ფეხს და კოშკს თავზე მოექცევით. მე, რა თქმა უნდა, იქ ვიქნები, თქვენზე გაცილებით ადრე და სწრაფად ასული, რადგან მე ხუთი თითივით ვიცი კოშკზე გადმოშვერილი ყველა ქვა და საფეხური და თვალდახუჭულს შემიძლია იქ ასვლა.

ნუ გეწყინებათ, თუ მე თქვენზე ადრე ავედი. არა უშავს რა, პირიქით, ხელს გამოგიწვდით დასახმარებლად და ამოსაყვანად. თქვენ დაიღლებით... შეიძლება კარგი ტანმოვარჯიშეც იყოთ, მოკრივეც, მაგრამ მაინც დაიღლებით. მერე რა! ნუ გეწყინებათ. დაისვენებთ. მე მცირე ხნით თვალს აგარიდებთ, რომ არ გაწითლდეთ, არ შეგრცხვეთ. საშუალებას მოგცემთ დაისვენოთ, ამოისუნთქოთ, გული საგულეში ჩაიდგათ. როცა დაისვენებთ, ირგვლივ მიმოიხედავთ და არემარის სილამაზით მოხიბლული სიამოვნებით გაიღიმებთ, მე მაშინ თავს მოვალედ ჩავთვლი, გითხრათ:

— აი, ჩემო მეგობარო, შეხედე, რა ლამაზია ჩემი სოფელი. ჩვენს წინ ისეთი სიმშვენიერე იქნება გადაშლილი, რომ ლაპარაკი სირცხვილად მოგეჩვენება.

აი, ის მთები რომ მოჩანს ტყით შებურული, უზარმაზარი ბოხოხი წვერებივით, ლიხის მთებია. მთებს გადაღმა იმერეთია, მთებს გამოღმა — ქართლი. ჩვენ თითქმის საზღვარზე ვართ... ლიხის მარცხნივ, მთის კალთებზე სახლები რომ შეფენილან, სოფელი ტაშისკარია. აქ გიორგი სააკაძემ დიდი ბრძოლა გადაიხადა. ტაშისკარს რომ გასცდებით, ფართო მინდვრები უცბად წყდება და გზა ორივე მხრივ ზვიადად აყუდებულ მთებშუა მიემართება. იქვე ახლოს სოფელია — ახალდაბა. ახალდაბიდან კი გზა ბორჯომს მიდის. ბულბულის კოშკიდან ტაშისკარიც ჩანს, ლიხის მთებიც და ხაშურიც. თვალი სწვდება იმ ვიწროებსაც, სადაც მინდვრები თავდება და გზა პირდაპირ მთებში მიდის. შეხე ამ მინდვრებს, რამხელაა! ბულბულის კოშკიდანაც თვალი ბოლომდე ვერ სწვდება. შეიძლება ახლა არ მოგეწონოთ მინდვრები, რადგან მოსავალი აღებულია და ნამჯაც გადატრუსულია, ამიტომ აქვს ნახშირის ფერი. მაგრამ აბა ნახეთ, გაზაფხულზე რომ აჯეჯილდება! მწვანეა, ხასხასა მწვანე, ღელავს, ბიბინებს... და ბუნებაც მღერის: იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო. ჯეჯილი პურდება. სიყვითლე ერევა ღეროს. ივლისის მზე რომ დააჭერს, სულ ოქროსავით დაიწყებს ბზინვას. ივლისში იწყება მკა, მოსავლის აღება. მოვლენ კომბაინები; ნამდვილი ქარხნებია ის დალოცვილები. პურს კიდეც მკიან, ლეწავენ, ანიავებენ და მძივებივით დარჩეულ ხორბალს ტომრებში ჰყრიან. კომბაინები დიდი გემებივით დაცურავენ ყანებში ლაღად, მშვიდად, დაგუგუნებენ... ჰო, აი ყანები მაშინ უნდა ნახოთ... მინდვრებში სული გიფართოვდება, გინდა იმღერო, თავი გოლიათი გგონია, როცა ამხელა სივრცეს უყურებ. ადამიანის ხელით მოვლილ-მოყვანილს. მეც ტოლებთან ერთად დავრბივარ ხოლმე მომკილ ყანებში, ვკოტრიალობ გალეწილ ნამჯაზე, ვჭიდაობთ, ლახტს ვთამაშობთ, ყირამალა გადავდივართ. აგერ ჩვენი მდინარეც... ჰაუ, რა დროება გვიტარებია მანდ ბიჭებს. აი, ხომ ხედავ, მარჯვნივ ტაშისკართან რკინის ხიდია, მანქანაც და კაციც ამ ხიდით გადის მეორე ნაპირას, ჩვენ კი — ცოტა ქვევით გავდივართ. აი, ცაცხვები რომ მოჩანს, ცხავ დედაკაცებივით ჩამომსხდარან ნაპირზე, იქ საქანელა ხიდი იყო და არის ახლაც. საკვირისია ოდნავი სიო, საქანელა ხიდი თავაწყვეტით ქანაობს, ხოლო თუ ზედ ადამიანი შედგა, მით უმეტეს ჩემი ტოლი, ოკეანის გრიგალში მოხვედრილ ნაფოტა ნავივით თამაშობს. ჩვენ ცურვა ყველამ ვიცოდით, იხვებივით წყალზე ვიყავით გაზრდილები და როცა ხიდი ისე აქანავდებოდა, რომ ლამის გადმობრუნებულიყო, გავცემდი ბრძანებას დაეტოვებინა ეკიპაჟს გემბანი. (ჩვენ მეზღვაურობანას ვთამაშობდით ხოლმე) ხიდიდან ტყაპა-ტყუპით ჩაცვივდებოდნენ ბიჭები წყალში და როცა ხიდი დაცარიელდებოდა და

ტრიუმებში ამოხეთქილი წყალი მუხლებზე მესხმოდა, მე, როგორც გემის კაპიტანი, უკანასკნელი ვტოვებდი ხიდს. მართალია ზღვა არცერთს არ გვენახა და გემითაც არავის გვემგზავრა, მაგრამ როცა საუბარი ზღვაზე და გემზე ჩამოვარდებოდა, ჩვენ დიდი რიხით და ბაქიბუქით ვიღებდით მონაწილეობას ასეთ საუბარში.

მინდვრებს ზემოთ ხეხილის ბაღებია, იმის იქით — ვენახები. ო, რომ იცოდეთ, რა ხილი იცის ჩემს სოფელში, მერე რამდენი! რომ იტყვიან ფოთოლზე უხშირესი ესხაო, სწორედ ისეა: წითელი ვაშლები, თაფლივით დამდნარი გულაბი მსხალი, ღაღანა ქანჭური, ლეღვი მუშტის ხელა... ყურძენი გვაქვს ისეთი, რომ თითო მტევანს თითო ხელკალათა უნდა. საზამთრო, ნესვი, კიტრი, თხილი, კაკალი, შინდი, ასკილი, ხურმა! რა მოსთვლის... ტყეში რომ წავალთ, დაზურგულები ძლივსღა მოვდივართ ხოლმე.

აი, იქით გაიხედეთ. მარჯვნივ, ის არის აღმოსავლეთი. თუ ადრე ადგომა არ დაგეზარებათ, ღამიანად ამოდით აქ, ბულბულის კოშკზე და დაელოდეთ მზის ამოსვლას. მზე ერთია მთელი დედამიწის ზურგზე, მაგრამ ჩემს სოფელში რომ მზე ამოდის, ისე არა მგონია კიდევ სადმე სხვაგან ამოდიოდეს. განთიადი ნელ-ნელა იწყება, მთებს ფერი ეცვლებათ, ჩაბნელებულ ხეობებში სინათლე იჭრება. მინდვრებზე გადაკრული შავი ზეწარი იხევა, იწეწება. ვარსკვლავები ძლიერ ციმციმებენ, მხოლოდ კაშკაში აკლდებათ. ნათდება არემარე... და უცბათ ამოგორდება მზე, როგორც ოქროს დისკო, ბრწყინავი, ნათელი, თვალის მომჭრელი. რა არის ქვეყნად იმაზე კარგი, უცქირდე ბულბულის კოშკიდან მზის ამოსვლას, სუნთქავდე შენი სოფლის ჯანსაღი, დაწმენდილი ჰაერით, დარბოდე ტყეში ბილიკზე, ხოლო მთვარიან ღამეს ტოლამხანაგებში ჩამჯდარი აღუღუნებდე ჩონგურს და მღეროდე შენი ქვეყნის სიყვარულზე, სილამაზეზე, ძლიერებაზე, სიმდიდრეზე!...

ჩვენ თითქმის ყველაფერი ვნახეთ, რასაც ნახულობენ ხოლმე ბულბულის კოშკზე პირველად ამოსულნი. ახლა ჩავიდეთ სოფელში, თუ გინდათ განახვებთ ჩემს სკოლას, ორსართულიან შენობას, თითქმის ყველაზე დიდ შენობას სოფელში. განახვებთ კოლმეურნეობის საწყობებს. თივისა და ნამჯის ზვინებს, განახვებთ ტრაქტორებს, კომბაინებს, სათეს მანქანებს... ჩვენი სტადიონი არ გინახავთ? ჩვენი პარკი? არ იფიქროთ, რომ ჩემს სოფელს ვაქებდე. ჩვენს სოფელზე გაზეთებში ყოველ მესამე დღეს წერენ, ჩვენი კოლმეურნეობა ჩინეთის და უნგრეთის გლეხთა დელეგაციებმა ნახეს... თუმცა რაღა გავაგრძელო! წამო, გაჩვენოთ ჩემი სოფელი!..

* * *

სოფლის შუაგულში ჩემი სახლია. მე სახლი ორსართულიანი მაქვს. დიდი, ნათელი ფანჯრებით და მზიანი აივნით. ჩემი აივნიდან მთელი სოფელი ხელისგულივით მოჩანს. ჩემი ოთახი მეორე სართულზეა. ერთი საწოლი მიდგას, ერთი კარადა და ერთიც საწერი მაგიდა. წიგნი ბევრი მაქვს. იმდენი, რომ წაკითხვასაც ვერ ვასწრებ. მე არ ვყოფილვარ მოსკოვში, არც კიევში, არც ვლადივოსტოკში, მაგრამ ვიცი სად როგორი ცხოვრებაა. ზეპირად ვიცი მოსკოვის მთავარი ქუჩები, ისიც, — მეტროს რამდენი სადგური აქვს, ისიც, — სად არის კურსკის ვაგზალი, და რომ მატარებელი საქართველოდან ამ ვაგზალში ჩადის. ეს ყველაფერი წიგნებში წავიკითხე და იქიდან გავიგე. მაინტერესებს, ძალიან მინდა მოსკოვის ნახვა. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ წითელი მოედანი ვნახო, ლენინისა და სტალინის მავზოლეუმი ვნახო...

პირველ მაისს მამამ გორში წამიყვანა. მამაჩემი მოწინავე ტრაქტორისტია, შრომის გმირი გახდა შარშან, ამიტომ იგი ტრიბუნაზე იდგა. მეც იქ ვიდექი. ჩვენს ზევით კი ბელადის დიდი მონუმენტი იყო აღმართული. ო, რომ იცოდე, რა ლამაზი მონუმენტია გორში. მე იმდენი ვუყურე, იმდენი... ვერ შევძელ თვალის მოშორება... ჩვენს წინ კი მიდიოდა გორის მოსახლეობა, ჩემხელა ბიჭები და გოგონებიც მიდიოდნენ — წითელი ყელსახვევებით, დროშებით... მათ მტრედები მიჰყავდათ და, როცა მონუმენტს დაუპირისპირდნენ, ჰაერში ააფრინეს...

მამაჩემს ოთხი ჭრილობა აქვს, წვიმიან ამინდში ხშირად გაუღიზიანდება ხოლმე და სტკივა. მე მეცოდება მამა. აბა, თქვენ თვითონ სთქვით, რათ მინდა მე ჭრილობები მქონდეს და მტკიოდეს. განა არ სჯობია ჯანმრთელი ვიყო, მაგარი. მამა მეუბნება, რომ მე არასოდეს მექნება ჭრილობები. მამამ მითხრა, რომ ომი არ იქნება. მე მიყვარს მამა და მჯერა მისი.

გორში პარადზე აუარება ხალხი ვნახე. მიხაროდა, რომ გორში ვიყავი... ჩვენ გორის ციხეზე ავედით. ბელადის მონუმენტი ყოველი მხრიდან ჩანდა. იგი თითქოს ჩვენ თვალს გვადევნებდა...

შინ რომ დავბრუნდი, მთელი ღამე არ მეძინა; ძლიერ პატარა მეჩვენა თავი. განა საკმარისია, რომ მე ხუთოსანი ვარ?! მე რაღაც უფრო დიდის გაკეთება მინდოდა, რომ ჩემზე დაეწერათ გაზეთებში, — სამშობლოს სარგებლობა მოეტანაო.

მე ვუყურებ როგორ შენდება ჩემი სოფელი, დღითიდღე როგორი ლამაზი და მშვენიერი ხდება იგი. მეც მინდა კალატოზი ვიყო ან ტრაქტორისტი. მე მცხვენია, რომ ამხელა სახლებს ერთი აგური არ უდევთ ჩემი ხელით დადებული, ამხელა მინდვრებს ერთი ხნული არა აქვს ჩემი ტრაქტორით გავლებული. მაგრამ მოვიცდი. ჯერ უნდა ვისწავლო. ხოლო შემდეგ ყველაფერი შეიძლება.

აი, ასეთია ჩემი სოფელი და ასეთი ვარ მე. მოდით ჩემს სოფელში, გაჩვენებთ სოფელს და გაგაცნობთ თავს.

ახლა კი ნახვამდის! სკოლაში მიმეჩქარება!

ჩემს მასწავლებლებს ძალიან სწყინთ, როცა გაკვეთილზე იგვიანებენ. მე კი, ხომ იცით, მასწავლებლებს ვერ ვაწყენინებ.

ჩემი მისამართია: ქვიშხეთი, საშუალო სკოლა, ზურაბს.

გვარი არაა საჭირო, ჩემს სოფელში სახელითაც ყველა მიცნობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჰუმბერტ კინტშერი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

# ლაქა ამერიკაზე

*

ჰუმბერტ კინტშერი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ახალგაზრდა კომუნისტი მწერალია. თავის ნაწერებში, რომლებშიც სიმართლით ასახავს დასავლეთ გერმანიის უბრალო ადამიანთა ცხოვრებას, იგი ფაშიზმისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის იბრძვის.

*

შუადღე იყო. საკლასო ოთახში საშინლად ცხელოდა. მაღალი და ფართო ფანჯრიდან მზე პირდაპირ აცხუნებდა და, რადგან ბელურებსაც ერთი ამბავი გაჰქონდათ, მასწავლებელმა ქალმა ჰანზენმა ბავშვებს უბრძანა ფანჯრები ჩაეკეტათ. ოცდათორმეტ გოგონას რვეულებში გადაჰქონდა წინადადებები, რომლებიც მან წინდაწინ დაფაზე დაწერა.

— ყველამ წერეთ კოხტად, აუჩქარებლად, არ დასვაროთ,— თქვა მან. დაფაზე ეწერა: „ყოჩაღი ბავშვები წერენ ბეჯითად“. „ბრემენს აქვს დიდი ნავსადგური.“ „ამერიკა ეხმარება საწყალ გერმანიას“.

სიტყვა „ამერიკასთან“ გიზელამ მელანი დააწვეთა. სხვამ ყველამ უშეცდომოდ გადაწერა სამივე წინადადება.

— ხვალისათვის ამ წინადადებას გადასწერ ათჯერ, ქვეშ მამაშენს ხელს მოაწერინებ და ნაწერს მიჩვენებ მე, — უთხრა მასწავლებელმა ქალმა გიზელას.

ამ დროს დაირეკა შესვენების ზარი. ბავშვებმა ხმაურით ჩაირბინეს ქვის კიბე და ჩავიდნენ ეზოში.

— ჯღაბნია, ჯღაბნია! თავი სად გაბია? — გაიძახოდნენ ბავშვები და გიზელაზე ათითებდნენ. გიზელა საცოდავად იდგა კედელთან და ტიროდა.

* * *

გიზელა სასადილო მაგიდასთან იჯდა და უკვე მეშვიდედ წერდა წინადადებას.

დედა ღუმელთან იდგა და თეთრი ქვიშით წმენდდა ფილაქურაზე შემოვლებულ რკინის სალტეებს. მათ ის ყოველდღე ხეხავდა, რადგანაც სამზარეულოს კედლები ნესტიანი იყო და ლითონს ჟანგი ხელახლა ეკიდებოდა. სახლის პატრონი სახურავის შეკეთებაზე არ ზრუნავდა, თუმცა სახურავს ჯერ კიდევ ომის შემდეგ სანახევროდ აკლდა ყავარი.

სკოლიდან რომ დაბრუნდა, გიზელამ დედას უამბო თუ რა დავალება მისცა მასწავლებელმა. დედამ მას უთხრა: „უნდა გაასწორო! წერე დინჯად, კოხტად და სუფთად.“ როცა ის დაიხრებოდა, რომ ვედროდან პეშვით ქვიშა აეღო, თავის პატარასაც გადახედავდა ხოლმე, აბა, წესიერად თუ მუშაობსო.

გარედან ფეხის ხმა მოისმა. ბინის კართან ფეხის ხმა შეწყდა. დედამ ყური მიუგდო. გიზელამ წერა შეწყვიტა.

— რა იყო, დედა?

— ეს მამაშენია.

კარი გაიღო. ფეხის ხმა ახლა ვიწრო დერეფნიდან მოდიოდა. მამა მოღუშული სახით შემოვიდა სამზარეულოში. მან მძიმედ ამოიხვნეშა და სკამზე დაჯდა. შემდეგ დაიხარა, აიღო მაგიდის ქვეშ მიგდებული ძველი ჩექმები და დაიწყო ფეხსაცმლის ზონრების გახსნა. როცა მან ჩექმები უკვე ჩაიცვა, გასწორდა სკამზე და თავით იდაყვებს დაეყრდნო. მცირე დუმილის შემდეგ მან გიზელას ჰკითხა:

— შენ რასა სწერ მანდ?

გიზელამ პასუხი არ გასცა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის მამას უსიტყვოდ შესცქეროდა, ხელში კალმისტარი ეჭირა.

— გიზელამ სკოლაში ნაწერზე მელანი დააწვეთა. ახლა მან ერთი წინადადება ათჯერ უნდა გადაწეროს, — უთხრა ბავშვის მაგიერ დედამ.

— შენ ლაპარაკი არ შეგიძლია? — მამამ სახეზე მიფარებული ხელი ჩამოიღო და თავისი ქალიშვილისაკენ დაიხარა.— მელანი დააწვეთე? ეს ცოტაა. უნდა ეცემე მასწავლებელს, თუ შენ ასე ჯღაბნი. აბა, მიჩვენე, რა წინადადებაა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიზელამ თავი დახარა და ნაწერს დააცქერდა.

— ამერი... ამერი... ამერი... — ლუღლუღებდა ის ერთსადაიმავეს.

დედამ მიშველება სცადა:

— გიზელა! რა მოგივიდა? უთხარი მამაშენს, რაც გაქვს დასაწერი.

გიზელამ სლუკუნი დაიწყო.

— „ამერიკა ეხმარება საწყალ გერმანიას,“ — ეს წინადადება უნდა გადავწერო ათჯერ.

— მას ცოტაღა დარჩა, მალე დაამთავრებს, სცადა დედამ მამის დაშოშმინება, მაგრამ მას უკვე აღარაფერი ესმოდა.

— ასე! „ამერიკა ეხმარება საწყალ გერმანიას“... ასეთია წინადადება? როგორ მერე? როგორღა ეხმარება ამერიკა საწყალ გერმანიას? ეს არ უთქვამს მასწავლებელს?

იგი თანდათან კარგავდა მოთმინებას. მერე დაიხარა მაგიდაზე, აიღო რვეული და ხმამაღლა წაიკითხა: „ამერიკა ეხმარება საწყალ გერმანიას!“ შენ ეს სისულელე რვაჯერ დაგიწერია! ისიც რვაჯერ! მან ისევ დააგდო რვეული ბავშვის წინ.

ეს არაფრად არ ვარგა! ეს სიცრუეა! ეს აუტანელი სიცრუეა! მან მუშტი დაჰკრა მაგიდაზე.

— შენ ამას მეტად აღარ დასწერ! გესმის?! არავითარ შემთხვევაში! მამაშენი მთელი კვირაა დარბის შრომის ბირჟაზე და საათობით დგას რიგში რაღაც ორი პფენიგის გულისათვის, რადგანაც ეს არამზადები ფაბრიკას ფაბრიკაზე ხურავენ და ხალხი უმუშევრად რჩება. შენ კი ზედიზედ რვაჯერ სწერ: „ამერიკა ეხმარება საწყალ გერმანიას!“

დედა შიშმა აიტანა. მან იცოდა, რომ რაკი ის ამბობდა: „მამაშენიო“, სილა შორს არ იყო.

— დამშვიდდი, კარლ, — ეუბნებოდა ის ქმარს, -- რატომ ღელავ ასე, გიზელამ ხომ მხოლოდ აუცილებელი დავალება უნდა შეასრულოს! შენც ერთი, თითქოს მისაბაძი მოსწავლე იყავი! როგორ შეიძლება ბავშვის რაღაც დავალებაზე ასე აღელვება! — მან საყვედურის ნიშნად თავი გააქნია.

— რაღაც დავალებაზე! — გამოაჯავრა მამამ და ბრაზმორევით გადახედა. — საქმე დავალებაში კი არ არის. მთავარია ეს წინადადება!

ის წამოვარდა და ხელი ჩაავლო მეუღლეს.

— მოდი აქ და წაიკითხე ეს! — მან აჩვენა დაწერილი გვერდი. — აი, აქ.

ის შესცქეროდა ცოლს და უნდოდა მისგან დასტური მიეღო, ხოლო დედა ცდილობდა თავის განთავისუფლებას.

— ყველაფერი ეს უმნიშვნელო რამეა. ეს ხომ გაზეთი არ არის. ეს მხოლოდ სასკოლო წინადადებაა. მასწავლებელს ალბათ მიუთითეს, თუ რა უნდა დააწერინოს ბავშვებს.

მამა იდგა მის წინ და დაჭიმული ყურადღებით სახეში შესცქეროდა.

— რა არის აქ უმნიშვნელო? პირიქით, ეს უარესია, რადგანაც ამას ბავშვები სკოლაში სწავლობენ. მოზრდილი, ჩვენიანი, საკუთარ დასკვნას აკეთებს, როცა ამ ნაჯღაბნს გაზეთში კითხულობს. ბავშვის გონებიდან კი ის ადვილად არ ამოიშლება. როცა წამოიზრდებიან, მათ არ ეცოდინებათ, რომ საქმე სულ სხვანაირადაა.

მან აიღო რვეული და დაფიქრდა.

— შენ აღარ დასწერ ამას. შენ სხვა რამეს დასწერ. აიღე კალმისტარი!

გიზელამ ყოყმანით გადახედა ჯერ მამას, მერე დედას. მას ვერ გადაეწყვიტა თუ როგორ მოქცეულიყო.

— შენ დედას ნუ უყურებ. გააკეთე, რასაც გეუბნები. წერე, — და გიზელას გვერდში ამოუდგა.

— დაიწყე, წერე: „მამაჩემი უმუშევარია, რადგანაც ამერიკელები არ გვეხმარებიან.“ სიტყვა „არ“ მსხვილი ასოებით უნდა დაწერო.

ბავშვი კვლავ ყოყმანობდა. მაშინ მამამ დაუჭირა ის ხელი, რომელშიაც კალმისტარი ეჭირა და ქაღალდზე გააყოლა.

— რით ვერ გაიგე? შენ უნდა დაწერო: „ჩემი... მა...მა... არის... უმუ... შე...ვარი, რადგანაც...“

დედამ მას მკლავში ხელი წაავლო.

— თავი დაანებე, კარლ! რა შუაშია აქ ბავშვი? მან ეს ხვალ მასწავლებელს უნდა აჩვენოს. ვინ იცის, რა მოჰყვება...

მამამ მოურიდებლად გააწყვეტინა:

— მაშ მომეცი აქ რვეული, მე თვითონ დავწერ!

მან აიღო რვეული, ჩააწო კალამი მელანში, დაჯდა და წერას შეუდგა. დედა იდგა კარებთან და უყურებდა თუ რა დიდხანს აბამდა ის უჩვევი ხელით სიტყვას სიტყვაზე. ბოლოს მან წერა დაამთავრა.

— მორჩა. ხვალ ეს მიუტანე მასწავლებელ ქალს და აჩვენე. — მან ხელით გასწია რვეული მაგიდაზე. დედა მივიდა გიზელასთან და წაიკითხა: „ამერიკა არ ეხმარება საწყალ გერმანიას. მათ ჩალის ფასად მიაქვთ ჩვენი ნახშირი და რკინა. ისინი ანგრევენ ჩვენს ფაბრიკებს, რითაც ჩვენ სამუშაოს ვკარგავთ. ისინი ემზადებიან ახალი ომისათვის. ასე „გვეხმარებიან“ ისინი ჩვენ.“

— შენ ეს არ შეგიძლია... — ის იყო დაიწყო დედამ. მამამ მას ხელის აქნევით სიტყვა შეაწყვეტინა.

— მე ეს შემიძლია! სწორედ ესაა სიმართლე! და თუ შენ გიზელას დარდი გაქვს, მე დილას მას თვითონ გავყვები სკოლაში. ხვალ მე დრო მექნება სწორედ და შენთან ერთად წავალ სკოლაში. მე ხომ უმუშევარი ვარ! -- მწარე ღიმილით დასძინა მან და წამოდგა.

დედას მეტი აღარაფერი უთქვამს.

* * *

...როცა გიზელა სკოლიდან დაბრუნდა, მას დედ-მამა სამზარეულოში დახვდა.

— აბა, მიამბე! — ჩქარობდა მამა. ის დილის რვა საათზე სამასწავლებლოს წინ იცდიდა, მაგრამ როცა ჰანზენი ცხრაზეც არ მოვიდა, შინ დაბრუნდა. — რა გითხრა ფროილაინ ჰანზენმა?

გიზელამ პორტფელი ნახშირის ყუთზე დადო.

-- ფროილაინ ჰანზენი მხოლოდ ათზე მოვიდა. გუშინ მე ეს არ ვიცოდი. მე შევყევი სამასწავლებლოში, რომ რვეული მეჩვენებინა. მან წაიკითხა და დიდხანს იყო გაჩუმებული.

— შემდეგ? ვერ ისვენებდა მამა.

— შემდეგ მეგონა გამწკეპლავდა. მან კი მთელი დაწერილი გვერდი ამოხია და რვეული დამიბრუნა.

— ეს იყო სულ?

— მერე მან მითხრა: თუ მამამ მოიცალოს, ჩემთან მოვიდესო, ან და, თუ შეიძლება, მე მოვალ თქვენსასო, -— ასე მითხრა მან. მას რაღაცა საკითხავი აქვს შენთან.

დედამ მამას გადახედა.

გიზელა მივიდა დედასთან.

— საეჭვო ხომ არაფერია? — საერთო დუმილში იკითხა დედამ.

— მე მჯერა, რომ ყველაფერი ეს სწორია! -- თქვა მამამ.

დედამ ამაზე მხოლოდ თავი დააქნია თანხმობის ნიშნად და გიზელა მაგრად გულში ჩაიკრა.

გერმანულიდან თარგმნა **აკაკი ჭკადუამ**

ნახ. ალ. ბანძელაძისა

ვ. გ. კოროლენკო

# ერთი წამით*

✻

მიმდინარე წლის ივლისში სრულდება ასი წელი გამოჩენილი რუსი მწერლის ვლადიმერ გალაქტიონის-ძე კოროლენკოს დაბადებიდან.

ვ. კოროლენკო დიდად ნიჭიერი მწერალია. თავის მოთხრობებსა და ნარკვევებში მან გვიჩვენა და გააკრიტიკა ძველი რუსეთის ცხოვრების მძიმე, შავბნელი მოვლენები. კოროლენკოს სჯეროდა, რომ „ადამიანი შექმნილია ბედნიერებისათვის, როგორც ფრინველი ფრენისათვის“.

კოროლენკოს ნაწარმოებთა გმირები გამბედავი, უშიშარი, თავისუფლების მოყვარული ადამიანებია; მათთვის უცხოა მონური მორჩილება. ასეთია დიასიც, გმირი მოთხრობისა, რომელსაც ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში ვბეჭდავთ.

✻

## I

— ქარიშხალი ამოვარდება, მეგობარო.

— დიახ, კაპრალო, მძლავრი ქარიშხალი ამოვარდება. კარგად ვიცნობ ამ აღმოსავლეთის ქარს. ღამე ძალზე მშფოთვარე იქნება ზღვაზე.

— დე ყოვლადწმიდა იოსებმა დაიფაროს ჩვენი მეზღვაურები. მეთევზეებმა უკვე თავს უშველეს...

— მაგრამ შეხეთ: აგერ იქ, თითქო, იალქანს მოვკარი თვალი.

— არა, ეგ ფრინველის ფრთამ გაიელვა. გალავნის ქონგურს ამოეფარე და ქარისგან ეგ დაგიცავს... აბა, მშვიდობით. ცვლა ორი საათის შემდეგ იქნება...

კაპრალი ** წავიდა. გუშაგი მარტო დარჩა პატარა ფორტის *** გალავანზე, რომლისთვისაც აზვირთებულ ტალღებს შემოერტყათ ალყა.

ქარიშხალი მართლაც ახლოვდებოდა. მზე ჩადიოდა, ქარი თანდათან ძლიერდებოდა; ჩამავალი მზის სხივებით მთელი ცა ძოწისფრად შეიღება, ზღვის სილურჯე ჩამუქდა და უფრო ცივად ალაპლაპდა. აქა-იქ ზღვა უკვე გადასერეს ყალყზე შემდგარი ზვირთების თეთრმა ქოჩრებმა.

ცაზედაც დიდი შეშფოთება იყო. გამალებული მიჰქროდნენ გრძლად გაწოლილი ღრუბლები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და იქ ცეცხლისფრად ენთებოდნენ, თითქო გრიგალი მათ უზარმაზარი, გავარვარებული ღუმელის პირში ჰყრისო.

მოახლოებული ქარიშხლის სუნი ტრიალებდა ოკეანეზე. დამფრთხალი ჩიტის ფრთასავით დაფარფატებდა იალქანი: შეგვიანებულ მეთევზეს, ქარიშხლით შეშინებულს, ეტყობა, იმედი აღარ ჰქონდა შორეულ ნაპირამდე მიღწევისა და თავისი ნავი ფორტისკენ მოებრუნებია.

შორეული ნაპირი რა ხანია შთაენთქა მოახლოებულ საღამოს ბინდს. გაბმით ღმუოდა ზღვა, ზვირთი ზვირთზე მიგორავდა გაცისკროვნებული ჰორიზონტისკენ. იალქანი ხან გამოკრთებოდა, ხან ისევ იკარგებოდა. მოიბრძოდა ნავი, ხან აქეთ უხვევდა, ხან იქით და ასე ნელ-ნელა უახლოვდებოდა კუნძულს. გალავნიდან მაცქერალ გუშაგს ეჩვენებოდა, რომ ბინდსა და ზღვას პირი შეეკრა და განრისხებული ეშურებოდა, ეს პატარა ეული ნავი უდაბურ ტალღათა თქაფანსა და წყვდიადში ჩაელუპნა.

ფორტის გალავანზე აკიაფდა სინათლე, აგერ მეორეც, მესამეც... თუმცა ნავი აღარ მოჩანდა, მეთევზეს მაინც შეეძლო შეემჩნია სინათლე, ეს რამდენიმე მოციმციმე ნაპერწკალი ამ თვალუწვდენელ აღელვებულ ოკეანეზე.

## II

— შესდექ! ვინ მოდის? — შეუძახა გუშაგმა გალავნიდან და ნავი მიზანში ამოიღო.

მაგრამ ზღვა ამ მუქარაზე უფრო საშიშია. მეთევზე ვერ მიატოვებს საჭეს, რადგან ზვირთები მყისვე ქვებზე მიახლის ნავს... თანაც ძველი ესპანური თოფები არც ისე ზუსტად ხვდებიან მიზანში. ნავი მოცურავე ფრინველივით ფრთხილად ელოდა ზვირთის დაჯახებას, ზედ ტალღის ქეჩოზე მოტრიალდა და უეცრივ იალქანი დაუშვა... ტალღებმა წინ გადმოისროლეს იგი და ნავიც პატარა ყურის კენჭებზე ხერხემლით შესრიალდა.

— ვინ მოდის? — ისევ ხმამაღლა გასძახის გუშაგი, რომელიც თანაგრძნობით უთვალთვალებდა ნავს.

— ძმაო, წმიდა იოსების მადლისთვის, გამიღე კარი. ხომ ხედავ, რა ქარიშხალია!

— მოიცა, ახლავე მოვა კაპრალი.

გალავანზე აწრიალდნენ ლანდები, მერე გაიღო მძიმე ალაყაფის კარი, გამოკრთა ფარნის შუქი, გაისმა ლაპარაკის ხმა. ესპანელებმა მიიღეს მეთევზე. გალავნის შიგნით, სალდათების ყაზარმაში ის იპოვის თავშესაფარს და გათბება კიდეც. კარგია, როცა სამშვიდობოზე მოაგონდება ოკეანის ბრაზმორეული გუგუნი და ხახადაღებულ უფსკრულზე ჩამოწოლილი მრისხანე წყვდიადი, სადაც სულ ახლახან ტორტმანებდა მისი ნავი.

ალაყაფი მიიხურა, თითქო ფორტმა ზღვას გადუკეტა კარიო, და გრიგალის პირველი ტალღა — ზღვის მთელ სიგანეზე აქოჩრილი — ფოსფორისებური ქაფის იდუმალი პრიალ-პრიალით მოექანებოდა.

კუთხის კოშკის სარკმელში გაუბედავად კიაფობდა პატარა შუქი, ხოლო ყურეში შეყვანილი ნავი თანაბრად ტორტმანებდა და ნელა ჭრიალებდა უკუგდებული და დამსხვრეული, მაგრამ მაინც ძლიერი ტალღის ყოველ დაძგერებაზე.

---

* იბეჭდება შემოკლებით.

** კაპრალი—უმცროსი უნტერ-ოფიცერი უცხოეთის ზოგიერთ არმიაში.

*** ფორტი—მცირე ციხე-სიმაგრე.

## III

ფორტის განაპირა კუთხის კოშკში ესპანეთის სამხედრო სატუსაღოს საკანი იყო. წამით იმ სარკმელში მოციმციმე შუქი დაბნელდა და კაცის ლანდი გამოჩნდა ხარიხას იქით. ვიღაცამ გადმოხედა ჩამობურულ ზღვას და ისევ გაშორდა სარკმელს. შუქი კვლავ წითლად აკიაფდა ზვირთების ქეჩოზე.

ეს—ინსურგენტი* ხუან-მარია-ხოზე-მიგუელ დიასი იყო. ამასწინდელ აჯანყებაში შეიპყრეს იგი ესპანელებმა და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ, ვიღაცის წყალობით, განაჩენი პატიებით შეუცვალეს, სიცოცხლე აჩუქეს, ამ კუნძულზე მოიყვანეს და კოშკში ჩასვეს. აქ აჰყარეს ბორკილები, რადგან საჭირო აღარ იყო: კედლები ქვით იყო ნაშენი, სარკმელს რკინის ხარიხა ჰქონდა აჭედილი, გარეთ ზღვა დუდუნებდა. ამიერიდან მას მხოლოდ ერთიღა დარჩენოდა: სარკმლიდან შორეული ნაპირისაკენ ცქერა... მოგონებები... და კიდევ—იქნებ იმედიც.

პირველ ხანებში, დარიან დღეებში, როცა მზე ლურჯ ტალღებზე ელავდა და შორეული ნაპირიც თითქო უფრო ახლო მოჩანდა, დიდხანს იყურებოდა ხოლმე იქითკენ. აცქერდებოდა მშობლიური მთების მოხაზულობას, ბუნდოვნად რომ ეტყობოდა ხეობათა ღარები, შორეულ სოფლებს, რომლებიც წერტილებივით მოჩანდნენ ამ სიშორეზე... გუმანით ხვდებოდა, სად იყო ყურეები, გზები, მთის ბილიკები. თითქო ხედავდა კიდეც იქ მსუბუქად მორიალე ლანდებს და მათ შორის ერთს, ოდესღაც მისთვის ესოდენ მახლობელს... ელოდა, რომ მთებში ისევ იელვებდა თოფების ალი და ავარდებოდა კვამლის ქულები, რომ შორი ნაპირიდან ტალღებზე გამოექანებოდა იალქნები, ზედ აჯანყებისა და თავისუფლების მშობლიური დროშით, ელოდა ამას და მოთმინებით აღსავსე ფრთხილად, დაჟინებით ტეხდა ქვას დაჟანგებული ხარიხის ქვეშ.

მაგრამ გადიოდა წლები. ნაპირზე სიმშვიდე სუფევდა, ხეობებში ჩაწოლილიყო ლურჯი ნისლი, ნაპირიდან მხოლოდ ესპანური პატარა სადარაჯო კატარღა მოცურავდა, ანდა მშვიდობიან მეთევზეთა ხომალდები საშოვარზე გამოსული თოლიებივით დასრიალებდნენ ზღვაზე...

წარსული თანდათან სიზმარს დაემგვანა მისთვის. თითქო სიზმარში ხედავდა ოქროსფერ ნისლში მთვლემარე, დამორჩილებულ ნაპირს და იქ მოჩვენებებივით მორიალე წარსულის ლანდებს... ხოლო როცა ნაპირთან კვამლი გამოჩნდებოდა და ტალღებს მოაპობდა სამხედრო კატარღა,—მან იცოდა: ეს—კუნძულზე მოჰყავდათ საპყრობილის დარაჯთა ახალი წყება...

კიდევ რამდენიმე წელმა გაიარა ამ ლეტარღიაში.** ხუან-მარია-მიგუელ-ხოზე დიასი დამშვიდდა. შორეული ნაპირისაკენ ახლა უკვე გულგრილად იყურებოდა, ხარიხის გამოტეხასაც დიდი ხანია დაანება თავი... რა აზრი ჰქონდა?

მის პატარა საკანში ქვის იატაკს, კუთხიდან კუთხემდე, დიაგონალზე მკვეთრად აჩნდა ნაკვალევი, რომელიც მან გაქელა ქარიშხლიან ღამეებში თავის გალიაში წინ და უკან სირბილით. ხანდისხან ასეთ ღამეებში ისევ ჩიჩქნიდა ხოლმე კედელს ხარიხასთან. მაგრამ პირველსავე მოწმენდილ დილას, როცა დამცხრალი ზღვა ალერსით ლოკავდა კუნძულის ქვიან საფეხურებს, ისიც მშვიდდებოდა, ივიწყებდა გახელების წუთებს...

მან იცოდა, რომ ხარიხა არ აკავებს მას... არა, ის დამწყვდეული ჰყავდა ამ ვერაგ, ხან ბრაზიან, ხან ალერსიან ზღვას...

---

* ინსურგენტი — შეიარაღებული აჯანყების მონაწილე, მეამბოხე.

** ხანგრძლივი ძილი, გადატანილი მნიშვნელობით — უძრაობა, გონებრივი უმოქმედობა.



## IV

ასე გაიარა წლებმა, რომლებიც უკვე დღეებად ეჩვენებოდა. ძილში გონებისთვის დრო არ არსებობს, მთელი მისი ცხოვრება კი ახლა უკვე სიზმარი იყო, უაზრო, მძიმე, უკვალოდ მიმავალი სიზმარი.

მაგრამ ეს რამდენიმე ხანია, ამ ძილში კვლავ დაეწყო რაღაც უცნაური მოლანდებანი. ძალზე მოწმენდილ დღეებში ნაპირზე კოცონების თუ ხანძართა კვამლი მოჩანდა. ფორტში რაღაც უჩვეულო ფაციფუცი შეიქნა: ესპანელებმა ხელი მიჰყვეს ძველი გალავნის შეკეთებას; ნაპირსა და კუნძულს შუა წინანდელზე უფრო ხშირად დასრიალებდნენ ორთქლის კარაპები, რომლებზეც ესპანეთის სამხედრო ალამი ფრიალებდა. ერთიორჯერ ზღვის ურჩხულთა ზოზროხა ზურგებივით მძიმედ გამოჩნდნენ მონიტორები*, ზედ წყალზე გადმოყუდებული კოშკურებით. დიასი უსიცოცხლო თვალებით დაჰყურებდა მათ და ხანდახან გაკვირვება თუ გამოეხატებოდა ხოლმე სახეზე. ერთხელ ისიც კი მოეჩვენა, რომ მზით გაკაშკაშებულ ხეობებსა და ნაცნობ მთებზე თოფების კვამლის პატარა ქულები გამოჩნდა. ერთხელაც მონიტორის გრძელი, შავი ზურგი შორეული ნაპირისაკენ გაიწია და რამდენიმე მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ზათქის ხმა ზღვიდან მის სარკმელში შემოიჭრა. ტუსაღმა ხელი ჩასჭიდა ხარიხას და ღონივრად შეანჯღრია. ხარიხამ გაიქღრიალა და ყანყალი დაიწყო. ღორღი და მტვერი ჩამოცვივდა იატაკზე...

მაგრამ განვლო კიდევ რამდენიმე დღემ... ნაპირი მიყუჩდა და კვლავ თვლემას მიეცა; ზღვა ცარიელი იყო, არავინ მოჩანდა ზედ, ტალღები ნელა, ჩაფიქრებით მოგორავდნენ ერთიმეორეზე და, თითქოს სხვა საქმე არა აქვთო, ქვიან ნაპირს ეხეთქებოდნენ...

დიასმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და გადასწყვიტა, დღეს ადრიანად დაწოლილიყო. დაე ზღვამ რაც უნდა ის ილაპარაკოს; დაე როგორც უნდა ისე დაალეწოს თავი აზვირთებულ

---

* მონიტორი—ჯავშნოსანი სამხედრო გემების ერთ-ერთი სახეობა.



ტალღებს იმ ნავმა, რომელიც მან სარკმლიდან შენიშნა. მას არაფერი ესაქმება არც იმ ნავთან და არც ზღვის ღრიალთან.

ტუსაღი თავის ლეიბზე გაწვა.

როცა ესპანელმა დარაჯმა ჩვეულებრივ დროს მოიტანა ფარანი და ტალანიდან შედგა დაკეტილი კარის თავზე დატოვებულ ხვრელში, ფარნის შუქმა გაანათა დაწოლილი ტყვე და მისი თვალდახუჭული, გაფითრებული სახე. დიასს თითქო მშვიდად ეძინა; ოღონდ ხანდისხან წარბები ეჭმუხნებოდა. სახეზეც იდუმალი ტანჯვა ეხატებოდა.

მაგრამ უეცრად, თითქო ვიღაცამ დაუძახაო, დიასს გამოეღვიძა. ეს გრიგალი იყო, რომელიც ტალღამტეხს მთელი ძალით გადაევლო და კედელს ეძგერა. სარკმლის იქით სიბნელეში მიჰქროდნენ ფოსფორისებური ქაფის თეთრი ქულები და, როცა გრიალი მიწყდა, საკანი მაინც სისინითა და შხუილით იყო სავსე. ეხომ დაკეტილ კარშიაც გააღწია და ტალანებში გახმიანდა.

დიასი სარკმელს მიეჭრა და ხარიხას მოჭიდებულმა სიბნელეში გაიხედა. ზღვას თავისი სახე დაჰკარგოდა და მხეცად ქცეულიყო. შორეული ნაპირი სულ მთლად წყვდიადს მოეცვა. მხოლოდ რამდენიმე წამით მასა და ღრუბლებს შუა გაცოცდა წითელი, დანისლული მთვარე. შორეული ათინათინები უწესრიგოდ ალივლივდა გაცოფებულ ზვირთთა ქეჩოებზე და ჩაქრა... დარჩა მხოლოდ ხმაური. ძალუმი, დაუდგრომელი, სიხარულით მოკიჟინე...

ხოზე-მარია-მიგუელ დიასმა იგრძნო, რომ მთელი არსებით თრთის და ღელავს ამ ზღვასავით. სული ილვიძებს ამდენი ხნის ძილისაგან, გონება უნათდება, ცოცხლდება დიდი ხნის ჩამქრალი სურვილები... უეცრივ ცხადად მოაგონდა ის, რაც ამ რამდენიმე დღის წინათ დაინახა ნაპირზე... ეს ხომ სიზმარი არ იყო! როგორ ჩათვალა ეს სიზმრად? ეს იყო მოძრაობა, ეს იყო თოფების სროლა... ეს აჯანყება იყო!..

კვლავ მოიჭრა გრიგალი, ისევ დატრიალდა ჰაერში მოელვარე შხეფები, დიასი ხარიხას ეცა და საოცრად აღტყინებულმა, ძლიერად შეანჯღრია იგი. გადმოცვივდა მარილიანი შხეფებით ამოჭმული კირი და ღორღი, ჩამოვარდა რამდენიმე ქვა და ხარიხა თავისუფლად ამოვარდა ბუდიდან.

სარკმლის ქვემოთ კი, ბოლაზში, ყურის წამლებად ჭრიალებდა ატივტივებული ნავი...

V

გალავანზე ამ დროს ყარაული შეიცვალა.

— წმიდაო იოსებ... წმიდაო მარიამ! — წაიბუტბუტა ახალმა გუშაგმა, თავზე კაპიშონი წამოიცვა და გალავანს ამოეფარა. ზღვის მთელ სიგანეზე მოჰქროდა ხან გაწოლილი, ხან ისევ ყალყზე შემდგარი გრიგალი და თან მოაქანებდა სიბნელეში მოელვარე ქაფის ქეჩოებს. ქარი თითქო ჭკუაზე შეიშალაო. კუნძული წინდაწინვე უკვე შიშით კრთოდა და გმინავდა.

გრიგალი სწორედ იმ წუთს მოიჭრა, როცა დიასი სარკმლიდან გადმოხტა. მას მყისვე გადაევლო წყალი, დაარეტიანა და წააქცია... რამდენიმე წამს უგონოდ ეგდო, თავზარდაცემული, გათოშილი და გაუბედურებული, მის თავზე კი ღმუილით მიჰქროდა რაღაც უზარმაზარი, გამხეცებული და გაბოროტებული...

როცა გრიგალი რამდენადმე ჩადგა, დიასმა თვალი გაახილა. ცაზე მიჰქროდნენ შავი ღრუბლები, ჩაბნელებულნი და უფორმონი. უფრო იგრძნობოდა, ვიდრე თვალი დაინახავდა ამ ვეება ღრუბელთა მოძრაობას, რომელნიც ასე თავშეუკავებლად მისწრაფოდნენ დასავლეთისკენ. შორს კი ისევ დგებოდა ყალყზე რაღაც უხილავი, მაგრამ მრისხანე, და მწყრალად, ბოროტად, განუწყვეტლივ ზუზუნებდა.

ამ საერთო მოძრაობაში მარტო ფორტის გალავანი იდგა უძრავად და მშვიდად. წყვდიადში მაინც გაარჩევდა კაცი ამბრაზურებიდან გამოშვერილ ზარბაზანთა ლულებს... ყაზარმიდან ხანდახან, წუთით ჩამოვარდნილ სიჩუმეში, მწუხრის ლოცვის ხმა მოდიოდა.

დიასი წამოდგა და ნაცემი ძაღლივით იმ შუქისაკენ გაემართა... არა, ზღვა თვალთმაქცია და საზარელი. ის შევა თავის წყნარ საკანში, ისევ ჩადგამს ხარიხას ბუდეში, მიწვება თავის კუთხეში ლეიბზე და დაიძინებს ტყვეობის მძიმე, მაგრამ მშვიდი **ძილით.**

ოღონდ ხარიხას გულდაგულ ამოქოლავს, რათა ყარაულმა არაფერი შენიშნოს... არა, არა, მას არ სურს გაქცევა... ზღვაზე დაღუპვა ელის...

დიასი ხელებით ლავგარდანს მოეჭიდა, სარკმელთან ავიდა და შეჩერდა...

საკანი ცარიელი იყო, შიგ შედარებით სიწყნარე სუფევდა: ფარნის მოყვითალო შუქი თანაბრად ეცემოდა კედლებს და კუთხეში, გაქელილ იატაკზე, მიგდებულ ლეიბს... სასთუმალს ზემოთ ღრმად ამოკვეთილი წარწერა მოჩანდა:

«ხუან-მარია-ხოზე-მიგუელ დიასი — ინსურგენტი. გაუმარჯოს თავისუფლებას!»

ასეთივე წარწერები, პატარა თუ დიდი, ღრმად ამოკვეთილი თუ ოდნავ დაფხაჭნილი, ყველგან მთელ კედლებზე კრთოდა:

«ხუან-მიგუელ დიასი.. მიგუელ დიასი...» და—ციფრები, ციფრები ..

თავდაპირველად დროს დღეებით ნიშნავდა, მერე — კვირაობით, მერე — თვეობით... «დედაო ღვთისა, უკვე ორი წელია...» «სამი წელია... ღმერთო, დამიფარე, ნუ დამიკარგავ გონს... დიასი... დიასი...»

მეათე წელი უბრალო ციფრით იყო აღნიშნული, წამოძახილების გარეშე. მერე თვლა წყდებოდა... მხოლოდ სახელი მო-

ჩანდა კედელზე ძალაგამოცლილი და ზანტი ხელით ამოკვეთილი... და ყოველივე ამას ფარნის მოყვითალო შუქი გულგრილად, თანაბრად ანათებდა...

უეცრივ დიასს წარმოუდგა, რომ მის საწოლზე წევს კაცი და მძიმედ სძინავს. ნელა, უაზრო სიმშვიდით სუნთქავს მკერდი... ეს თვითონაა? ის დიასი, რომელიც აქ ძალღონით, სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარულით სავსე შემოვიდა?..

გრიგალი ხელახლა გრიალითა და ღმუილით ეძგერა კუნძულს... დიასმა ხელი უშვა სარკმელს და ისევ ნაპირზე ჩახტა. ქარაშოტმა გადაიგრიალა და ნელნელა დაცხრა. ფარნის შუქი კვლავ ციმციმებდა სიბნელეში.

## VI

გალავანზე მდგარი გუშაგი, ზურგით ქარისკენ მიბრუნებული, თოფს ორივე ხელით ჩაჭიდებოდა, რომ გრიგალს არ გამოეტაცნა, და თავისთვის ლოცვებს კითხულობდა, თან ცალი ყური ზღვის ჯოჯოხეთური გრუხუნისა და ქარის გაცოფებული ზუზუნისაკენ ჰქონდა.

როცა გუშაგმა, რაც კი იცოდა, ყველა ლოცვა ჩაათავა, ზღვისკენ მობრუნდა და სახტად დარჩა. ზოლაჩის გასწვრივ, სადაც შედარებით უფრო სიწყნარე იყო, მიირწეოდა ნავი და უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც ზღვა დუღდა და ბორგავდა წყვდიადში. უეცრივ თეთრი იალქანი გაიშალა, ქარმა გაბერა იგი. ნავი შეტორტმანდა, გასწორდა და თვალს მიეფარა...

იმავე წამს დიასმა უკან მოიხედა და მოეჩვენა, რომ პატარა, ჩაბნელებული კუნძული შეირყა, უფსკრულში ჩაინთქა და თან ჩაიყოლია თანაბრად მოციმციმე სინათლეც, რომელიც ამ წამამდე მკვდრისფერი შუქით უთვალთვალებდა მას. წინ მხოლოდ ქაოსი და ქარიშხალი იყო. მგზნებარე აღტაცებამ მოიცვა მისი გაყინული სული. უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი საჭეს, იალქანი მოსჭიმა და ხმამაღლა შესძახა... ეს იყო თავშეუკავებელი სიხარულის კიჟინა, კიჟინა უსაზღვრო აღტაცებისა, გაღვიძებული სიცოცხლის წყურვილისა.. უკანიდან ყრუდ მოისმა თოფის გასროლის ხმა, მას მოჰყვა ზარბაზნის ბათქის გრიალი, ქარაშოტის მიერ ჩაყრუებული და გატაცებული. გვერდიდან მოექანებოდა გრიგალი, ნავს ატაცებას უპირებდა... ნავი აიწია, აიწია... თითქო მთელი საუკუნე გავიდა... ხოზე-მარია-მიგუელ დიასი წარბშეჭმუხვნილი მტკიცედ იყურებოდა მხოლოდ წინ და ისეთივე აღტაცებას აევსო მისი გული... იცოდა, რომ ახლა თავისუფალია, რომ მთელ ქვეყანაზე მას ვერავინ დაედრება, რადგან ყველას სიცოცხლე უნდა.. მას კი... მას მარტო თავისუფლება სურს..

ნავი ზვირთის ქეჩოზე მოექცა, შეირხა, შეტორტმანდა და ნელ-ნელა დაეშვა... გალავნიდან ის უკანასკნელად დაინახეს, მაგრამ პატარა ფორტი შიგადაშიგ კიდევ დიდხანს უგზავნიდა ბათქს აზვირთებულ ზღვას...

## VII

დილით მზე ისევ ამობრწყინდა მოკრიალებულ ლაჟვარდში. ღრუბლის უკანასკნელი ნაფლეთები ჯერ ისევ არეულად მიჰქროდნენ ცაზე; ზღვა ტორტმანებდა და თანდათან მშვიდდებოდა, თითქო რცხვენიაო თავისი წუხანდელი თარეშის...

ქარიშხლით გაცოცხლებული და პირდაბანილი შორეული ნაპირი გამჭვირვალე ჰაერში იხატებოდა. ყველგან იცინოდა ამ ბობოქარი ღამის შემდეგ გაღვიძებული სიცოცხლე.

პატარა გემი ნაპირის გასწვრივ დასრიალებდა. მურაფერი კვამლი ტალღებზე კუდივით იშლებოდა მის უკან. რამდენიმე ესპანელი ფორტის გალავნიდან თვალს ადევნებდა მას.

— უთუოდ დაიღუპა. ეს ნამდვილი სიგიჟე იყო...—თქვა ერთმა,—თქვენ როგორ გგონიათ, დონ ფერნანდო?

ახალგაზრდა ოფიცერმა ჩაფიქრებული სახე მოსაუბრისკენ მოაბრუნა.

— ჰო, ალბათ, დაიღუპა. მაგრამ შესაძლებელია ახლა იმ მთებიდან გადმოჰყურებს თავის საპყრობილეს. ყოველ შემთხვევაში ზღვამ მას რამდენიმე წამით მიანიჭა თავისუფლება. ვინ იცის, იქნებ სჯობდეს კიდეც ერთი წამი ნამდვილი ცხოვრებისა მთელი წლობით ცოცხალ-მკვდრად ყოფნას!..

— მაგრამ ეს რა ამბავია იქ? შეხეთ...—და ოფიცერმა ხელი მთაგორიანი ნაპირის სამხრეთი კიდისაკენ გაიშვირა. ინსურგენტების ბანაკის მიერ დაკავებულ ერთ-ერთ განაპირა კონცხზე ქულა-ქულად გამოჩნდა თოფების თეთრი კვამლი. სროლის ხმა არ ისმოდა, მხოლოდ კვამლის პატარ-პატარა მოუსვენარი ქულები აიჭრებოდა ხოლმე ზევით და მსწრაფლ ილეოდა, რაც ამ უდაბურ ხეობებს საოცრად აცოცხლებდა. ზღვიდან საპასუხოდ გაისმა ზარბაზნის ბათქი და ყველაფერი ისევ მიყუჩდა. დუმდა ნაპირიც და დუმდა ზღვაც...

ოფიცრებმა ერთმანეთს გადახედეს... რას ნიშნავდა ეს უცნაური გამოცოცხლება ამბოხებულ მცხოვრებთა პოზიციებზე? პასუხი ხომ არაა გაქცეულის ბედ-იღბალზე?.. თუ მხოლოდ მოულოდნელი განგაშის გამო ატეხილი შემთხვევითი სროლაა?!

პასუხი არ იყო...

იდუმლად იცინოდნენ ნაპირისაკენ გამოგორებული მოელვარე ტალღები და წკრიალით იმსხვრეოდნენ ქვებზე...

რუსულიდან თარგმნა **რუსუდან ქებულაძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ვიკითხოთ

## არკადი გაიდარის მოთხრობები

შესანიშნავი მწერლისა და მოქალაქის არკადი გაიდარის სახელი კარგადაა ცნობილი ჩვენი მოზარდი მკითხველისათვის. გაიდარი მწერლის ფსევდონიმია და მონღოლურად ნიშნავს მხედარს, რომელიც ყველაზე წინ მიჭრის. ეს სახელი მართლაც რომ შეჰფეროდა იმ ადამიანს, რომელიც, 14 წლისა, მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში და სამოქალაქო ომის წლებში თავგანწირულად ებრძოდა ჩვენი ქვეყნის მტრებს.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ა. გაიდარი ფრონტზე გაეშურა, როგორც სამხედრო კორესპონდენტი. ჩვენი ჯარების უკანდახევის დროს მწერალი მტრის ზურგში მოხვდა და პარტიზანულ რაზმში იბრძოდა. 1941 წლის 26 ოქტომბერს იგი მამაცთა სიკვდილით დაეცა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.




მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ა. გაიდარმა მოახმარა სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას, მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას.

ვის არ წაუკითხავს ა. გაიდარის შესანიშნავი მოთხრობა „თემური და მისი რაზმი?“ ამ მოთხრობის გმირის მიბაძვით პიონერებმა სამამულო ომის წლებში ათასობით რაზმები შეჰქმნეს ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად.

ამ რამდენიმე ხნის წინათ „საბლიტგამმა“ ცალკე წიგნად გამოსცა ა. გაიდარის მოთხრობები: „სამხედრო საიდუმლოება“ და „მედოლის ბედი“.

„სამხედრო საიდუმლოებაში“ მიმზიდველადაა აღწერილი პიონერული ბანაკის ცხოვრება ზღვის პირად, ყირიმის ლამაზი ბუნება, პიონერული კოცონი, მხიარული თამაშობანი. ამავე დროს მოთხრობაში ნაჩვენებია, თუ რა ზიანს აყენებდნენ ჩვენს ქვეყანას კულაკები და როგორ იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები.

ასევე საინტერესო მოთხრობაა „მედოლის ბედი“. ამ მოთხრობის გმირი — 14 წლის ბიჭი სერიოჟა ხელში ჩაიგდეს ჩვენი ქვეყნის მტრებმა—ბანდიტებმა და ჯაშუშებმა. მათ ისარგებლეს სერიოჟას გამოუცდელობით, გზა დაუბნიეს მას და თავიანთ ბრმა იარაღად აქციეს. მაგრამ როცა სერიოჟა მიხვდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე, შესძლო სიმტკიცე გამოეჩინა და ანგარიში გაესწორებინა მტერთან.

სერიოჟას ბედი კარგი მაგალითია იმისა, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს დაუკვირვებლობამ, გულუბრყვილო, ბრმა ნდობამ. „მედოლის ბედი“ გვასწავლის—ვებრძოლოთ დოყლაპიობას, გამოვიცნოთ მტრის ხრიკები, ვიყოთ ფხიზელნი და გამბედავნი.

ა. გაიდარის მოთხრობები, რომლებიც ქართულად თარგნა ბ. შელიამ, უეჭველად დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს და მრავალმხრივ სარგებლობას მოუტანს მკითხველს.

ზ. ჭუმბურიძე

## ანდრო ლომიძე—„მშობლიური მიწა“

ჩვენი დიადი სამშობლოს მომავალი მშენებლის—ნორჩი თაობის ცხოვრება და საქმიანობა სკოლასა და ოჯახში, უფროსებთან და შრომაში,—აი მთავარი თემა ანდრო ლომიძის საბავშვო მოთხრობებისა. მწერალი თავის გმირებისადმი სიყვარულს აღგიძრავთ. მკითხველს სჯერა მათი და გრძნობთ, რომ ეს ნორჩი თაობა არის საიმედო ბურჯი და დასაყრდენი კომუნისტური პარტიისა, საბჭოთა მთავრობისა და მშრომელი ხალხისა.




განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მოთხრობა „მშობლიური მიწა“, სადაც აღწერილია ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების—მენშევიკების—კავშირი თეთრგვარდიელებთან, რომლებიც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძვიან.

მოთხრობის მთავარი გმირებია ლევანი და მისი შვილი გურამი. მამა ჩაძირავს მენშევიკების გემს, რომელსაც იარაღი მიაქვს თეთრგვარდიელებთან. ლევანი და გურამი გაიქცევიან თურქეთის მიერ მიტაცებულ სამხრეთ საქართველოში—ლაზისტანში, სადაც მათ ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს, ზღვის სტიქიონისაგან დახრჩობას გადაარჩინეს და შეიფარეს ლაზებმა. ლაზისტანში გურამი უმეგობრდება თავის ტოლ ბიჭს ისმაილს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლევანი და გურამი უბრუნდებიან მშობლიურ კერას. მოთხრობაში მწერალი მუქი საღებავებით ხატავს თურქების მიერ ლაზი მოსახლეობის ჩაგვრას.

საინტერესოდაა დაწერილი მოთხრობა „ზამბაკი“, სადაც ნორჩი მკითხველი იგებს, თუ როგორ ჩნდება მარგალიტი, რომელ ზღვებშია და რა საშუალებებით იღებენ მას ზღვის ფსკერიდან. მოთხრობაში ამავე დროს დახატულია ინდოელი მოსახლეობის უმწეო ბედი, სიღატაკე და შიმშილი. პატარა ინდოელები სუომი და სატენდრა კატორღულ სამუშაოზე მიდიან, ისინი თავის სიცოცხლეს სიკვდილის საფრთხის წინაშე აყენებენ, რათა პურის ნატეხი იშოვონ. მართლაც, სუომი ზღვის ფსკერზე მსხვერპლი ხდება უზარმაზარი ნიჟარისა, რომელსაც ტროდაკანა ეწოდება. ინგლისელ რალფ მორისონის სახით მწერალი გვიხატავს კაცს, რომელსაც ადამიანური თვისებები დაუკარგავს და ბოროტების სიმბოლოდ გადაქცეულა.

ანდრო ლომიძის წიგნი „მშობლიური მიწა“ დაწერილია გამართული ქართული ენით და კარგი საჩუქარია ნორჩი მკითხველისათვის.

ბაკურ ბახტურიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე

## ბამბა

ბამბა თბილი ქვეყნების მცენარეა. მისი ნაყოფი შედგება ბოჭკოსა და თესლისაგან. ტექნიკაში უფრო მეტი გამოყენება აქვს ბამბის ბოჭკოს, რისგანაც ამზადებენ საკერავ ძაფებს, სხვადასხვა დანიშნულების თოკებსა და ბაგირებს, ათასგვარ ქსოვილებს, ასაფეთქებელ ნივთიერებას და სხვ.

ბამბის კულტურას ადამიანი ოთხი ათასი წლის წინათაც იცნობდა, მაგრამ მისი სამრეწველო გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როცა გამოგონილი იქნა ბამბის თესლის გამცლელი მანქანა (1793 წ.).

რუსეთში ბამბის პირველი ძაფსართავი ქარხანა 1808 წელს აშენდა, მაგრამ აქ მებამბეობა იმდენად ნელა ვითარდებოდა, რომ ასი წლის შემდეგაც კი — 1900 წლისათვის — საკუთარი მოსავალი ბამბის მსოფლიო გამომუშავების მხოლოდ 3—4 პროცენტს შეადგენდა. რუსი ფეიქრები იძულებული იყვნენ 200 ათასი ტონა ბამბა ყოველწლიურად უცხოეთიდან შემოეტანათ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ეს სურათი მთლიანად შეიცვალა: გაიზარდა ბამბის სათესი ფართობი, ამაღლდა ბამბის მოსავლიანობა, გაშენდა ბამბის საუკეთესო ჯიშები, ჩამოყალიბდა ბამბის მწარმოებელი მსხვილი მეურნეობები, აღიზარდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალ-სტები და უკვე პირველი სტალინური ხუთწლედის ბოლოს საბჭოთა კავშირს აღარ სჭირდებოდა ბამბის უცხოეთიდან შემოტანა.

მებამბეობაში განსაკუთრებით ისახელეს თავი უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებმა. სახელოვანი საბჭოთა მებამბეები ერთ ჰექტარზე 21 ცენტნერ ბამბას იღებენ, მაშინ როცა მოსავლიანობით განთქმულ ეგვიპტეში ერთ ჰექტარზე მხოლოდ 11,5 ცენტნერი ბამბა მოჰყავთ, ამერიკის პლანტაციებში — 9, ინდოეთში კი მხოლოდ 3,4.

საბჭოთა რესპუბლიკებში ახლა უფრო მეტი ბამბა მოდის ვიდრე ერთად აღებული ინდოეთში, ეგვიპტეში, ირანში, თურქეთსა და ავღანეთში — მსოფლიო მებამბეობის ამ უძველეს ქვეყნებში.



## თევზის ჭერა სინათლის საშუალებით

კასპიის, აზოვის და ჩვენი ქვეყნის სხვა ზღვებში თევზების დაზვერვა თვითმფრინავ-ამფიბიების * საშუალებით წარმოებს.

უკანასკნელ ხანებში თევზის მრეწველობა იმდენად განვითარდა, რომ ავიოდაზვერვა უკვე ვეღარ აკმაყოფილებს ჩვენი მეთევზეების მოთხოვნილებას.

როგორც ყოველ დარგში, საბჭოთა მეცნიერებმა აქაც თქვეს თავიანთი ახალი სიტყვა.

ცნობილი საბჭოთა იხტიოლოგი, პროფესორი პ. გ. ბორისოვი დააკვირდა ერთ მეტად საინტერესო მოვლენას: ღამით თევზები მწერებივით მიისწრაფიან სინათლისაკენ და, როგორც კი სინათლის წყაროს მიუახლოვდებიან, უკვე აღარ შეუძლიათ წასვლა, ვერცხლის ბურთივით შემოეხვევიან ნათურას. რაც უფრო ძლიერია სინათლე, მით უფრო მეტი თევზი გროვდება მის გარშემო. პროფ. პ. გ. ბორისოვმა დაამტკიცა, რომ სინათლის საშუალებით შეიძლება როგორც მეცნიერული დაკვირვება თევზებზე, აგრეთვე მათი ჭერა სამრეწველო მაშტაბით. მარტო 1951 წლის მანძილზე ამ მეთოდით დაჭერილმა თევზის რაოდენობამ 1,5 მილიონ ფუთს მიაღწია.

პროფ. პ. გ. ბორისოვის იდეა შემდეგში მდგომარეობს: გემზე ამოწტაუებენ ელექტროდენის გენერატორს, შემდეგ წყალში უშვებენ 1000 ვატიან ნათურას, რომლის ქვეშ კონუსური ბადეა მოთავსებული. თუ ასეთ მოწყობილობებს დავაყენებთ თევზების გადაადგილების სავარაუდო გზაზე, მაშინ მათი აღმოჩენა ძალზე ადვილი ხდება. თუ გემზე ამოტანილ კონუსურ ბადეში აღმოჩნდებიან თევზები, ეს იმას ნიშნავს, რომ ელექტრონათურამ უკვე „მოაჯადოვა" წყლის მკვიდრნი და გემის მიდამოებში ათიათასობით თევზი დაცურავს; ისღა დარჩენილა, რომ ისროლო ბადეები და დაიწყო ნადირობა.

* თვითმფრინავები, რომლებიც წყალზე დაცურავენ.

## ქაღალდის მილები

ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის საკავშირო საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის ინჟინერმა ი. ი. ველიჩკომ შეიმუშავა ქაღალდისა და ბითუმისაგან დამზადებული მილების წარმოების მეთოდი. ასეთი მილების გამოყენება თავისუფლად შეიძლება საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში მორწყვისა და წყალმომარაგების საჭიროებისათვის.

ამ მილების დასამზადებლად იყენებენ ჩვეულებრივ გასახვევ ქაღალდს. ქაღალდის მილები, რომლებიც ბითუმით არის გაჟღენთილი, ცვლის ლითონს, ასბესტ-ცემენტის და კერამიკის მილებს, რომლებსაც აქამდე იყენებენ საკოლმეურნეო წყალსადენისათვის, საწვიმარი მოწყობილობისათვის, წყალსაქაჩავ სადგურებზე, მეცხოველეობის ფერმებში და ა. შ.

ქაღალდის მილი მაგარია და შედარებით მაღალ წნევას უძლებს.

## საბჭოთა პიონერების მაგალითზე

ქალაქ რიხნოვში (ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) აგებულია პატარა საბავშვო რკინიგზა, რომელსაც პიონერები ემსახურებიან. ეს ისეთივე რკინიგზაა, როგორიც უკვე დიდი ხანია აგეს საბჭოთა პიონერებმა თბილისში და ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებში.

რიხნოვის საბავშვო რკინიგზის მატარებელი შედგება სამოტორო და მისაბმელი ვაგონებისაგან. მატარებლის სიჩქარე უდრის 6 კილომეტრს საათში.

ბავშვები თავისუფლად მართავენ მატარებელს, რომელსაც პატარა მგზავრები გადაჰყავს.





# ს უ რ ა თ ე ბ ზ ე →

1. ამ პატარას გადატანილი ტანჯვისაგან არაბავშვური გამომეტყველება აქვს — იგი ერთი იმ მრავალ ათიათასთაგანი უსახლკაროდ დარჩენილი ობოლია, რომელიც ომის მსხვერპლი გახდა (ამერიკული ჟურნალი «იუნაიტედ ნეიშნს უორლდ»).

2. ეს ნახევრადტიტველი, ზამთრის ყინვისაგან აბუზული გოგონა, რომელსაც გამხდარ ფეხებზე ხის ქოშები აცვია, დასავლეთ ბერლინში ცხოვრობს (ავსტრიის ჟურნალი «ველტ-ილუსტრირტე»).

3. თქვენ ხედავთ შენობის კედელთან, ქვაფენილზე მიძინებულ ესპანელ გოგონას. ესპანელი ბავშვების 80 პროცენტი დაავადებულია ტუბერკულოზით. ათიათასობით ბავშვი იღუპება ისე, რომ ერთი წლის ასაკსაც ვერ აღწევს.

4. ამერიკაში, ოფიციალური მონაცემებით, ვაშინგტონის შტატის ორმოცი ათასზე მეტი მოსწავლე სწავლობს სარდაფებში, შენობების სხვენში და ტალანებში.

სურათზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთ «სკოლას» შეერთებულ შტატებში. (ჟურნალი «უსა იმ ვორკ უნდ ბილდ»).

5. ათი წლის ბიჭუნა პედრო ვილლალაბოსი იმისათვის, რომ ოჯახს დაეხმაროს, იძულებულია იმუშაოს მტვირთავად.

6. დიდი ფურგონები — ეს თვლებზე შემდგარი სახლებია. მათში ცხოვრობენ იტალიელი ღატაკები თავიანთი ოჯახებით. სხვა საცხოვრებელი მათ არ გააჩნიათ.

7. განნოვერელი მოსწავლეების დაგლეჯილი ფეხსაცმელები.

მასწავლებელმა აუკრძალა მათ ასეთი ფეხსაცმელებით სკოლაში სიარული. «მაშასადამე, სწავლა უნდა მიატოვოთ», — განუცხადეს მშობლებმა ბავშვებს (წერილი დასავლეთ გერმანიიდან).

8. ეს ორი პატარა სამი და ხუთი წლის ბავშვი ამერიკის ქალაქ ჯონსონ-სიტის (ტენნესის შტატი) მოსამართლემ დააპატიმრა და ციხეში ჩასვა, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი უპატრონონი იყვნენ. (ნიუ-იორკის გაზეთი «დეილი ნიუსი»).

9. დილაადრიან ტოკიოს ერთ-ერთ პარკში. ეს იაპონელი გოგონა უსახლკაროა (იაპონიის ყოველწლიური გამოცემა «არს კამერა ენნუელ»).

10. ავსტრიელი ბიჭუნა, რომელსაც შიმშილი აიძულებს ნაგვის ყუთი ქექოს.

## შ ი ნ ა ა რ ს ი


| | გვ. |
|---|---|
| ირაკლი აბაშიძე — ორი ბავშვობა (ლექსი) . . . . . . . . . . . . | 1 |
| ნინო ჯავახიშვილი — ბავშვები ჩვენი ბედნიერებაა (წერილი) . . . . | 2 |
| ვ. გრიგოროვიჩი — პატარა კეტის ბედი (წერილი) . . . . . . . . | 4 |
| მარიკა ჯაფარიძე — ახალი მასწავლებელი (მოთხრობა) . . . . . | 5 |
| ჯანი როდარი — ორი ლექსი (თარგმნა გრ. ცეცხლაძემ) . . . . | 8 |
| არკადი გაიდარი — კვამლი ტყეში (მოთხრობა, თარგმნა ბ. შელიამ) . | 9 |
| ვასილ ბაიაძე — ახალგაზრდობის საყვარელი პოეტი (წერილი) . . . | 14 |
| ნ. ტიხონოვი — საუბარი (მოთხრობა, თარგმნა ნ. ჯიბლაძემ) . . . | 15 |
| დ. ძიგუა — ლაპარაკობს თბილისი (წერილი) . . . . . . . . . . . | 16 |
| ბეჟან ბარდაველიძე — მამა (მოთხრობა) . . . . . . . . . . . . . | 19 |
| როსტომ ბეჟანიშვილი — ჩემი სოფელი (პიონერის დღიურიდან) . . . | 22 |
| ჰუმბერტ კინტშერი — ლაქა ამერიკაზე (მოთხრობა, გერმანულიდან თარგმნა აკაკი ჭკადუამ) . . . . . . . . . . . . . . | 24 |
| ვ. გ. კოროლენკო — ერთი წამით (მოთხრობა, რუსულიდან თარგმნა რუსუდან ქებულაძემ) . . . . . . . . . . . . . . | 26 |
| რა ვიკითხოთ . . . . . . . . . . . . . . . . . | 30 |
| მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . . . . . . | 31 |
| ამირან აბშილავა — სიმღერა პიონერულ ზაფხულზე (ლექსი) გარეკანის — მე-4 გვ. | |


გარეკანის პირველ გვერდზე: „მოგზაურები“ — ნახატი ალ. გიგოლაშვილისა; გარეკანის მეორე გვერდზე: „ბედნიერი ბავშვობა“ — ფოტოეტიუდი ო. თურქიასი. გარეკანის მე-3 გვ. ფოტომონტაჟი: „მათ არა აქვთ ბავშვობა“; გარეკანის მე-4 გვერდზე: „პიონერული ზაფხული“ — ფოტოეტიუდი ო. თურქიასი.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: ალ. გიგოლაშვილის, გ. თოთიბაძის, კ. მახარაძის, დ. ხახუტაშვილის, გ. ფოცხიშვილის, რ. ცუცქირიძისა და ალ. ბანძელაძის მიერ.


რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии Июнь, № 6, 1953, Тбилиси Ленина 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. „საბლიტგამი.“

უვ 04440 ტირაჟი 15.000 გამომც. შეკვ. № 163 სტამბის შეკვ. № 759 [redacted] პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის 14, გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკა“ [redacted]-თანახანზე, რუსთაველის 42.

# მათ არა აქვთ ბავშვობა






























ფასი 2 მან.



# სიმღერა პიონერულ ზაფხულზე

კვლავ მოგვადგა კარს ზაფხული მშობლიური მხარის,
ბანაკებში წითელ ალმებს არხევს ნიავქარი,
სიმღერები ლაღად თქმული ესმით მთებს და ჭალებს,
ჩვენ უსაზღვრო სიხარულით გული გვიფრთხიალებს...
თვალს იტაცებს სილამაზე აყვავებულ მხარის,
ჩვენი ქვეყნის დასადარი არსად, არსად არი!

ზოგი მთებში გავემგზავრეთ, ზოგი კიდევ ზღვაზე,
ილვიძებენ მწვერვალები საყვირების ხმაზე.
განთიადზე ქედებიდან მზის ამოსვლა ვნახეთ,
ათასფერად ხატავს დილა საქართველოს ბაღებს.
ღამე... ჩვენი კოცონები... შუქი ბადრი მთვარის...
ჩვენი ქვეყნის დასადარი არსად, არსად არი!

სექტემბერში გამზრდელ სკოლას ვესტუმრებით ისევ,
რომ პირნათლად შევასრულოთ ჩვენი სიტყვა მტკიცე,—
კვლავ ხალისით დავეწაფოთ წიგნებს — ცოდნის წყაროს,
რომ ბეჯითი, კარგი სწავლით ყველა გავახაროთ,
რომ ჩვენც გავხდეთ მშენებლები მშობლიური მხარის...
ჩვენი ქვეყნის დასადარი არსად, არსად არი!

ამირან აბშილავა